პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 204 (20545) ◆ კვირა, 3 სექტემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

წერილები „კომუნისტს"

მშობლიურ ენას ვცეთ პატივი

ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალის კულტურის სახლთან არსებული ცეკვისა და მუსიკალური სტუდიის მოსწავლეებთან ერთად ვეწვიეთ ბათუმის დელფინარიუმს. ატრაქციონის დაწყებამდე დელფინებმა თავიანთი ნომრებით გაამხიარულეს მაყურებლები. ზოგი დელფინი ისვენებდა, ზოგიერთი მაღალი ნახტომითა და კუდის ძლიერი დარტყმით მაყურებლებს წუწავდა. იყო ერთი სიცილი და ხმამაღალი შეძახილები.

წაიყვანმა მისასალმებელი სიტყვები — სულ ორიოდე წინადადება ითქვა ქართულად, შემდეგ კი მთელი საუბარი რუსულად წარიმართა და ატრაქციონი დაიწყო ისე, რომ ერთი ქართული სიტყვაც არ გაგვიგონია. ჩვენი სოფლელი ბავშვებისათვის ნახევრად გაუგებარი დარჩა დელფინების ირგვლივ მონათხრობი. არა და მათ როგორ აინტერესებდათ ყველაფერი.

რატომ ხდება დღეს ასე? ჩვენ, მართალია, უზომოდ ვიცით სტუმრის პატივისცემა, მაგრამ რატომ არ უნდა ვცეთ პატივი ჯერ ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს?

სამართლიანად მიმაჩნია, და ასეც უნდა მოხდეს, მომავალში ჯერ საუბარი მთლიანად წარიმართოს ქართულ ენაზე, შემდეგ ვცეთ პატივი მოსულ სტუმრებსა თუ ადგილობრივ მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს.

რაც შეეხება ატრაქციონს, პრეტენზია არა გვაქვს, მან მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

შეიძლება ჩემი წერილი არ გამოდგეს თქვენი გაზეთისათვის, მაგრამ დუმილი დანაშაულად მიმაჩნია.

თუ დაბეჭდავს გადაწყვეტთ, ჰონორარი გადარიცხეთ 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის ასაგებ ფონდში.

ლეილა ბარბაქაძე,
ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

◆

თავი უდაბნოში გვგონია

წყალი! — უდაბნოში მოხვედრილი მწყურვალი კაცი მირაჟის დანახვაზე გახარებული რომ წამოიყვირებს, ჩვენც, მესამე-მეოთხე სართულებზე მცხოვრებლებიც სწორედ ასე წამოვიძახებთ ხოლმე ხახაგამშრალი ცივი წყლის ონკანებიდან წვეთების ჩამოგორებაზე.

ერთი-ორი წვეთი და... „მირაჟიც" ქრება. ამ სიცხე-პაპანაქებაში დამშრალი წყლის ონკანები ისევ „ქვავდება".

წყალსადენმა ჩვენს მიმართვაზე ხელი დაიბანა (სამისო წყალი ჰყოფნით), ეს ჩვენ არ გვეხება, სახლთმმართველობის საქმეაო, სახლთმმართველობა კი ყურს არ იბარტყუნებს.

ჩვენს გარშემო მდებარე სახლებში ცივი წყალი მოჩქეფს, ჩვენ კი გვენატრება.

წყალი! — თავი უდაბნოში გვგონია!

ეთერ მესხი, ჯემალ ჩხენკელი, ზოია ქაჯაია, ირინე როტინავა, თამარ ჯაფარიძე, სპირიდონ გობაძე, გია კანკავა და სხვები.
თბილისის ლეო ქიაჩელის ქუჩის № 26 სახლის მცხოვრებნი.

◆

სად ვიშოვოთ მენახირე?

ეს უბრალო კითხვა არავის ეგონოს. იგი ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში და ბევრ სოფელში პრობლემად იქცა. ახლა უმენახიროდ საკარმიდამო მეცხოველეობა არ განვითარდება და ამით სასურსათო ბალანსს ბევრი დააკლდება.

ფაქტებით მინდა ვილაპარაკო: მე ექიმი-სტომატოლოგი ვარ, მეუღლე კი ინჟინერ-მექანიზატორია. გვინდოდა საკუთარი წვლილი შეგვეტანა სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში. გავიჩინეთ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ფრინველი, გვაქვს საკარმიდამო ნაკვეთიც. ჩვენ იმდენი პროდუქტები მოგვყავს, რომ ბაზარში სიარული აღარ გვიხდება. მაგრამ ახლა ისე წახდა საქმე, ლამის ყველაფერს თავი დავანებოთ. სამი წლის წინათ 1.000 მანეთად ვიყიდეთ ძროხა. იმ წელს შინ, ბაგური წესით ვუვლიდით, მაგრამ მერე ძალზე გაგვიჭირდა მოვლა, ყოველდღიურად საკვების შოვნა. გადავწყვიტეთ შემდეგ წელს ძროხა მენახირისათვის მიგვებარებინა. მაგრამ რა, მენახირე ვერ ვიშოვეთ. ყველა თავის საქონელს რიგრიგობით დაჰყვება საძოვარზე. ჩვენ კი სამსახურის გამო ამას ვერ ვაკეთებთ.

შარშან ჩვენს გაზეთ „ივრის განთიადში" დაიბეჭდა თ. ილაურის წერილი „რა უშლის ხელს მეცხოველეობის განვითარებას". მაგრამ რა გამოვიდა? თურმე მოსახლეობა არ ყოფილა ინფორმირებული იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით სატყეომ და სხვა ორგანოებმა საძოვრები უნდა გამოუყოს სოფლებს. ქაღალდზე დარჩა ეს დადგენილება, საძოვრები ჩვენთან არავის გამოუყვია. ანდა ვინ წავა მწყემსად? მეტყევეები და მეურნეობის ხელმძღვანელები აინუნშიც არ აგდებენ მთავრობის დადგენილებას, ქვაღორღისა და გზის პირებზე კი საქონელი ვერ გამოიკვებება. ამასთან, რიგრიგობით ძროხის მეპატრონეთა მენახირეობა სამუშაოს გაუცდენლად შეუძლებელია, რაც თავისთავად დიდ ზარალს იწვევს.

განა ასე ძნელია, რომ მეურნეობამ გამოგვიყოს ერთი მენახირე, რომელსაც თითო ძროხის მწყემსობაში 10-15 მანეთს გადავუხდიდით, მაშინ ხომ საკარმიდამოში თითქმის ყველა იყოლიებდა ძროხას. ამით ჩვენც ვისარგებლებდით და ქვეყანაც.

იქნებ ღირდეს, ამის თაობაზე სათანადო ორგანოებმა მიიღონ სპეციალური გადაწყვეტილება?

ლამარა ნაცვლიშვილი,
საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის ექიმი-სტომატოლოგი.

◆

ტელეფონი მისთვის მინდა...

მეც ვიტყვი, ტელეფონი მიდგას-მეთქი. ჯერ იყო და მისი დადგმისათვის იმდენი ვაი-ვაგლახი გამოვიარე, დიდი ბრძოლა დამჭირდა. ჩაირთო და... იმ დღიდან დაიწყო ჩემი და ოჯახის წევრების ტანჯვა. ყველას ნერვები დაგვიავადდა. სამი წელია, რაც ტელეფონი დაგვიდგეს და ზედიზედ სამი დღე ნორმალურად არ უმუშავია. წამდაუწუმ ითიშება, ან ჩვენს ნომერს — 22-39-77 კრეფენ და სხვა გვარს კითხულობენ...

ჩვენი ტელეფონი მეზობელთან ბლოკირებულია და, ვფიქრობ, ყველა ეს „სიკეთე" უფრო ამისაგან უნდა გვჭირდეს.

ვის არ მივმართეთ, ვინ არ შევაწუხეთ, მაგრამ ამაოდ... არა, ჩივილის შემდეგ ტელეფონს მაშინვე კი ჩაგვირთავენ, მაგრამ ცოტა ხანში ისევ გამოირთვება ხოლმე.

დაპირებით კი დაგვპირდნენ, ახალ სატელეფონო სადგურს რომ ავაშენებთ, ცალკე ნომერს მოგცემთო. სადგურიც აშენდა, ბინებში ტელეფონების დადგმაც დაიწყეს, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერი გვეშველა.

რა ვქნათ, როდემდე გაუძლებს ამას ჩვენი ნერვები? ბოლოს და ბოლოს, ტელეფონი ფუფუნების საგანი ხომ არ არის, მისთვის მინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენო. მოხუცებული ვარ და ხშირად მჭირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის გამოძახება. თანაც ოჯახში პატარა ბავშვები არიან...

თქვენლა დაგვრჩით იმედად!

ელენე ფსიტიძე,
თბილისი.

◆

მუდამ ლოდინში

ქვეყნად მიმდინარე გარდაქმნამ და საჯაროობამ კიდევ უფრო საგრძნობლად გაზარდა პრესის როლი. პერიფერიებში მცხოვრები ადამიანები განსაკუთრებით ველოდებით ჟურნალ-გაზეთებს. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ფოსტას დიდი დაგვიანებით — მესამე, მეოთხე დღეს ვღებულობთ. არა მგონია, რომ საქართველოს რომელიმე კუთხეში ისე გვიან მიდიოდეს პრესა, როგორც ჩვენთან.

ცაგერის რაიონის სოფელი ალპანა, რაჭის გზაზე მდინარე რიონის ხეობაში მდებარეობს, ხოლო რაიონული ცენტრი ჩვენგან 22 კილომეტრზეა დაშორებული და ცხენისწყლის ხეობაშია, რომელიც დაკავშირებულია ქუთაისთან წყალტუბოს გზით.

ორი წლის წინათ ალპანის საფოსტო განყოფილება გაზეთებს იმავე დღეს ღებულობდა, უკიდურეს შემთხვევაში მეორე დღეს დილით მაინც მოჰქონდათ. ახლა მდგომარეობა უარესობისაკენ შეიცვალა. გაზეთები და სხვა საფოსტო გზავნილები პირდაპირ რაიონულ ცენტრში დღის მეორე ნახევარში მიაქვთ. აქ მას მეორე დღეს ანაწილებენ და ადგილებზე გზავნიან, ადგილობრივ ფოსტაში თავის მხრივ დაგვიანებით ანაწილებენ და საბოლოო ჯამში ისევ ხელისმომწერლები ვზარალდებით, გაზეთებს მესამე ან მეოთხე დღეს ვღებულობთ. ყოველივე ამას ხშირად ისიც ერთვის, რომ ხან მანქანა არ ჰყავთ წესრიგში, ხან ბენზინი არ აქვთ. ერთი სიტყვით, კავშირგაბმულობის მუშაკთა დაუდევრობით მოწყვეტილი ვართ ყოველგვარი სიახლის გაგების საშუალებას.

ჩვენი მრავალგზის თხოვნა ყურად არ იღო არც კავშირგაბმულობის სამინისტრომ, არც ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ. იმედია, ახლა მაინც გაითვალისწინებენ ჩვენს თხოვნას და ქუთაისიდან რაჭის გზით გამოაგზავნიან ფოსტას.

დ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის ალპანის, ტვიშის, ლვირიშის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა სახელით.

---

3 სექტემბერი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღეა

ახალი წარმატებებით

თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს — ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღეს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდა საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" აღმოსავლეთ საქართველოს ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიციის მშრომელთა კოლექტივი — გადაჭარბებით შესრულდა 1989 წლის პირველი ნახევრის გეგმა.

დაწინაურდა რუსთავის 36-ე ჭაბურღილის ბრიგადა. მას წლიური გეგმით 2250 მეტრი უნდა გამოებურღა, ფაქტობრივად კი დღეისათვის 2530 მეტრია გამობურღული. ბრიგადის წევრები არ ანელებენ ტემპს და უფრო მაღალი, სასახელო მაჩვენებლებისათვის იღვწიან.

სურათზე: რუსთავის № 36 ჭაბურღილის ბრიგადის მოწინავენი (მარცხნიდან) — ბურღვის ოსტატი ვალიკო ხელაშვილი, მბურღავი ვარდენ სულთანიშვილი, მუშები ალექსი გორტობაშვილი და კიმოთე ალბორიშვილი.

ჯავარ ლომაძის („კომუნისტი") ფოტო.

ეკონომიკური რეფორმის ძირითადი რგოლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხთა კომისიის სხდომა

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებაზეა დამოკიდებული გარდაქმნის დროს პარტიის მიერ დასახული სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა, რომლის მიზანია სახალხო მეურნეობის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა. რადიკალური რეფორმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფისათვის გამიზნული წინადადებები განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხთა კომისიის სხდომაზე. იგი 1 სექტემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ნ. ნ. სლიუნკოვის** თავმჯდომარეობით.

ხაზგასმით აღინიშნა რა პრობლემის მნიშვნელობა, მან თქვა, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანის რეალიზაცია — სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქციის 10-15 წელიწადში განხორციელება — შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავამოქმედებთ ყველა ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მკვეთრი ზრდისა და ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.

იმისათვის, რომ ამას საჭირო დინამიზმი მივანიჭოთ, უნდა გავაძლიეროთ ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევისა და ნამუშევრების პრაქტიკული მიმართულება, ორგანული გავხადოთ მეცნიერული ძიების კავშირი პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან, ჩავამენოთ მეურნეობრიობის მოქმედ მოდელში მეცნიერულ-ტექნიკური მართვისადმი ეკონომიკური მიდგომა.

ინფორმაცია გააკეთა კომისიის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **კ. ვ. ფროლოვმა.** საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს უნივერსალური სათოხნი ტრაქტორების გენერალური კონსტრუქტორი **პ. ა. ამელჩენკო,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საუწყებათშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „სამეცნიერო ხელსაწყოების" გენერალური დირექტორი **მ. ლ. ალექსანდროვი,** მოსკოვის საქალაქო განყოფილების „კვანტემის" გამგეობის თავმჯდომარე **ი. ვ. სკოკოვი,** უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საუწყებათშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „ფხვნილთა მეტალურგიის" გენერალური დირექტორი **ვ. ი. ტრეფილოვი,** სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ატომური ელექტროსადგურების ტურბინების გენერალური კონსტრუქტორი **ი. ფ. კოსიაკი,** სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი **ვ. ა. დურასოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემიის კათედრის გამგე **ი. ვ. იაკოვეცი,** სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ა. ი. იშლინსკი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მანქანათმშენებლობის ბიუროს თავმჯდომარე **ი. ს. სილაევი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **გ. ი. მარჩუკი,** სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ე. ი. ჩაზოვი,** მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ტ. საიკინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. პ. ლავეროვი,** სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრი **ვ. გ. კოლესნიკოვი,** სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. ელისეევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ი. აბალკინი,** სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარე **ვ. ვ. ხოჩოვი,** სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. გ. მელნიკოვი.**

ორატორებმა ობიექტურად შეაფასეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებული საქმის ვითარება. სამართლიანად აღინიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება კვლავ გარდაქმნის ძირითადი პრობლემაა.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ახალ თვისობრიობაზე გადასვლა დიდ მოთხოვნებს უყენებს სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის ეფექტიანობას, ახალი ტექნიკის დანერგვას, საწარმოო პოტენციალის განახლებას. ამავე დროს აღინიშნა, რომ ჩვენი პოტენციალი ჯერჯერობით სრულად ვერ შეასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

არ გვაქვს კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებათა არჩევის ზუსტი სისტემა, აღმოფხვრილი არ არის მონოპოლიზმი უძრაობის, ახლის დაბრკოლების, ბიუროკრატიული სტრუქტურების ბატონობის მისთვის დამახასიათებელი შედეგებით. შექმნილმა სამეურნეო და მმართველობითმა მექანიზმმა სამეცნიერო-ადმინისტრაციულ პერსონალს მეტისმეტი შესაძლებლობები მისცა რესურსების განაწილებასა და კვლევის თემატიკის განსაზღვრაში. აქედან დასკვნა: მეცნიერებაში, ისევე როგორც საზოგადოებაში, ახლა საჭიროა დემოკრატიზაცია და სტრუქტურული რეფორმები. ისინი არანაკლებ საჭიროა, ვიდრე ინვესტიციების მომატება, რომლებიც ხმარდება ამ სფეროს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში რეალური და საკმაოდ სწრაფი ძვრების მისაღწევად არსებული პოტენციალის უფრო ეფექტიან გამოყენებასთან ერთად უნდა ვიფიქროთ მეცნიერებაში მოწინავე ტექნოლოგიური ბაზისა და სხვა წარმოებითი ურთიერთობის მქონე, ალტერნატიული ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის შესაძლებლობებზე. ეს, ბევრი ორატორის აზრით, შესაძლებელს გახდის არა მარტო იდეების, არამედ ინვესტიტორების კონკურსს.

სამეცნიერო ორგანიზაციების ქსელის სტრუქტურა მოძრავი უნდა გახდეს, რაც საქმიანობის ახალი ფუნქციების წარმოქმნაზე რეაგირების საშუალებას მოგვცემს. მის ძირითად ორგანიზაციულ რგოლად უნდა გადაიქცეს არა ინსტიტუტი, როგორც ახლა, არამედ მკვლევართა კოლექტივი, რომელიც კონკრეტულ პრობლემაზე მუშაობს. სწორედ ასეთი კოლექტივები უნდა გახდეს დაფინანსების ძირითადი ობიექტები. სხვათა შორის, სხდომის მონაწილეებმა, რომლებმაც განავითარეს ეს იდეა, დაწვრილებით განიხილეს მეცნიერული კვლევის დაფინანსების მეთოდები და წყაროები.

გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა მიმდინარე კვლევის თავისებური ინვენტარიზაცია. ყოველ მიმართულებაში ახლა მას ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა მიეცეს. აღინიშნა, კერძოდ, რომ იმ კოლექტივებისათვის გამოყოფილი ძალები და რესურსები, რომლებიც არსებითად ჩამოშორდნენ მეცნიერების წინა ხაზს, დაკარგეს კავშირი მსოფლიო კვლევითს გაერთიანებასთან, უნდა გადაეცეს ქმედითუნარიან კოლექტივებს, რათა მათგან დიდი და სწრაფი უკუგება მივიღოთ.

დიდი ყურადღება დაეთმო ყველაზე მოწინავე მსოფლიო კვლევის პროცესებში საბჭოთა მეცნიერების ინტეგრაციის პრობლემებს. განიხილეს ინფორმაციების, სპეციალისტების, ტექნოლოგიების გაცვლის ინტენსიფიკაციის გზები და ხერხები. კერძოდ, გამოითქვა წინადადებანი დროებითი და მუდმივი საერთაშორისო კვლევითი კოლექტივების, სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებების შექმნისა და ჩვენს ქვეყანაში არსებული სასარგებლო გამოცდილების გამოყენების შესახებ.

შეაჯამა რა დისკუსიის შედეგები, ნ. ნ. სლიუნკოვი დაწვრილებით შეეხო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფის ისეთ ძირითად პრობლემებს, როგორიცაა პროგნოზირების ძირეული გარდაქმნა, აგრეთვე კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, დაპროექტების ტექნიკური დონის, სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შინაარსის, ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის საკითხი.

აღინიშნა, რომ ეკონომიკური რეფორმის დროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვაში იზრდება ისეთი ბერკეტების როლი, როგორიც არის დაბეგვრა, საფინანსო-საკრედიტო სისტემა, ფასწარმოქმნა და შრომის ანაზღაურება. დიდ მნიშვნელობას იძენს საბჭოთა თავდაცვითი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის კონვერსიის საკითხები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საგარეო-ეკონომიკური ასპექტები და საკადრო პოლიტიკა.

გადაწყდა, კომისიის ძირითადი დასკვნები საფუძვლად დაედოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირის მომზადებას. მოიწონეს აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ კომისიის მასალები გამოიყენონ საკანონმდებლო აქტების პროექტების განხილვის დროს, რომელთა შესახებ იმსჯელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

ყოველივე ამის მეოხებით შესაძლებელი იქნება პარტიის XXVIII ყრილობისათვის მზადების დროს მეცნიერებისა და მრეწველობის მუშაკთა ფართო წრის, პარტიული კომიტეტების აზრის გათვალისწინება. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობაში მუშაობას შეუდგა საქართველოს სს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი. მისი შენახვის მთელ ხარჯებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სავალუტო ფონდიდან გავიღებთ. ეს გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდიუმის მორიგმა სხდომამ ახლებური ეკონომიკური ურთიერთობისა და საგარეო-სავაჭრო კონტაქტების განვითარების პრინციპების შესაბამისად, რომლებიც რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა.

უახლოეს პერსპექტივაში კიდევ რამდენიმე კაპიტალისტურ, სოციალისტურ და განვითარებად ქვეყანაშია დაგეგმილი საქართველოს წარმომადგენელთა მუდმივი მუშაობა.

ამ სხდომაზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება კომპლექსური რესპუბლიკური პროგრამა, რომლის მიზანია უზრუნველვყოთ 2000 წლისათვის ყოველი ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით. პრეზიდიუმმა მშენებლობის შარშანდელი ტემპი სრულიად არასაკმარისად ცნო. ამის შედეგი იყო, რომ რესპუბლიკაში წლის მანძილზე ვერ ჩააბარეს 340 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს სსრ სახმშენს, საქაგრომშენს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაავალა მეთორმეტე ხუთწლედის დარჩენილ პერიოდში აღმოფხვრან ეს ჩამორჩენა. დასახულია კონკრეტული პერსპექტიული ამოცანა: რესპუბლიკაში ყოველწლიურად ჩააბარდეს 2 მილიონამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება-განმტკიცებას, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში კოოპერაციული და საარენდო-სამშენებლო ორგანიზაციების ჩაბმას, სამეურნეო წესით მშენებლობის განვითარებას და სხვა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ საერთო-სახალხო ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ახლებური მიდგომა და ინიციატივა ადგილებზე, ყოველი რეგიონის რეზერვებისა და შესაძლებლობების რაციონალური და ოპერატიული მოქცევა ბრუნვაში. ასეთი მიდგომის მაგალითია პრეზიდიუმის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქ. რუსთავში წლის დამლევამდე შეიქმნას მძლავრი საწარმო, რომელიც გადაამუშავებს წიდას საბინაო და საგზაო მშენებლობაში და სხვა დანიშნულებით მისი ფართო გამოყენებისათვის. ეს საწარმო მრავალმხრივ მოგებას მოგვიტანს. უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რუსთავისა და მისი მიმდებარე რაიონების ეკოლოგიური მდგომარეობა. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ რესპუბლიკა მიიღებს დამატებით საშენ მასალას, გაიზრდება რუსთავის საქალაქო აღმასკომის ტერიტორიული დარგთშორისი გაერთიანების საექსპორტო შესაძლებლობანი, ხოლო მიწები, სადაც ახლა წიდის გროვებია, რეკულტივაციის შემდეგ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის საწარმოების დამხმარე მეურნეობებს გადაეცემა.

ეკოლოგია, საყოველთაო ბუნებადაცვითი მუშაობა ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა, აღინიშნა პრეზიდიუმის სხდომაზე. ჩვენი ქალაქებისა და სოფლების სანიმუშო სანიტარიული წესრიგი ეკოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამ პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლის მასშტაბი და სიმწვავე იზრდება და ახალ-ახალ რაიონებს მოიცავს. მთლიანად რესპუბლიკის დედაქალაქსა და მის ორ რაიონში (26 კომისრის და საქარხნო) საქმის მდგომარეობის შესახებ თბილისის საქალაქო აღმასკომის ხელმძღვანელობის მორიგი ინფორმაციის გარდა პრეზიდიუმმა მოისმინა აგრეთვე ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომის ანგარიში ამ საკითხზე. აღნიშნული რაიაღმასკომების ძალისხმევა და ღონისძიებანი მათს საქვეუწყებო ტერიტორიებზე ჯეროვანი სანიტარიული წესრიგის დასამყარებლად მიჩნეულია ჯერ კიდევ არასაკმარისად და მცირეეფექტიანად.

საჭიროა რადიკალური ღონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად. გაიზრდება სამუშაოს მოცულობაც და მომკითხველობაც, ითქვა სხდომაზე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი უზრუნველყონ ამ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოთხოვნების სრული მოცულობით შესრულება, პასუხს აგებენ თავიანთი ამომრჩევლებისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წინაშე.

უახლოეს წლებში ძირფესვიანად შეიცვლება აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის აჯარის სოფლსაბჭოს სოფლების სახე. გაისად დაიწყება მათი სოციალური განახლება, კულტურის კერების ზრდა, გაუმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. ამას ხელს შეუწყობს მიღებული დადგენილება აღნიშნული სოფლების მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

უყურადღებოდ არ დარჩენიათ არც სოფელ მარტყოფის მშრომელთა საჭიროებანი. დამტკიცებული პროგრამის თანახმად, მარტყოფელთა მრავალი წლის პრობლემა, რომელიც წყალმომარაგების ნაკლოვანებებთან არის დაკავშირებული, უახლოეს ხანს გადაიჭრება.

ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვით არის ნაკარნახევი დადგენილება შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ყოველმხრივი გაძლიერების შესახებ. მიღებულია 1989-1995 წლების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა. ამ დიდმნიშვნელოვან სამუშაოში ჩაებმებიან რესპუბლიკის ყველა უწყება-სამინისტრო და ადგილობრივი საბჭოები. საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს გაეწევა ყოველმხრივი დახმარება, რათა შექმნას უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებანი, მომზადოს სპეციალისტები და გააჩაღოს საყოველთაო გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა საუკუნის დამღუპველი სენის წინააღმდეგ.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი სხვა საკითხი.

(საქინფორმი).

საზოგადოების ძალების კონსოლიდაციისათვის

ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლების ეპოქაში დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია, მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება. ამ ძნელ მუშაობაში თავისი წვლილი შეაქვთ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და მორწმუნეებს. ამ და ჩვენში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სხვა აქტუალურ საკითხთა შესახებ იყო სჯა-ბაასი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის შეხვედრაზე.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დაიწყო კონსოლიდაციის პროცესი. დღეს ყოველი პატრიოტის, თითოეული მოქალაქის ვალია დაამყაროს სიმშვიდე ჩვენს სახლში, შექმნას ნორმალური პირობები ადამიანთა ცხოვრებისა და მუშაობისათვის. ახლა, როდესაც საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში სიტუაციის სტაბილიზაციის ტენდენცია დაისახა, უნდა დავამკვიდროთ ეს დადებითი პროცესები, მოვაგვაროთ ჩვეული შრომითი რიტმი. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აგრეთვე ადამიანთა შორის ნდობის აღსადგენად, ჩვენი ხალხების ეროვნებათშორისი ურთიერთობის მდიდარი ტრადიციებისათვის პროპაგანდის გასაწევად. ამ გზაზე გვესახება რესპუბლიკის პოლიტიკური სუვერენიტეტის გაფართოებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის რეალური პერსპექტივები.

საგნობრივი სჯა-ბაასი გაიმართა რესპუბლიკის დემოგრაფიული პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებითაც. აქ უაღრესად მწვავე სიტუაცია შეიქმნა. საჭიროა ახალი გზები და მიდგომები, ჩვენი ისტორიული გამოცდილების, სხვა ქვეყნების პრაქტიკის განზოგადება და გამოყენება. რესპუბლიკის მთავრობა ამ მიმართულებით უკვე დგამს მთელ რიგ კონკრეტულ ნაბიჯებს. გამოითქვა აგრეთვე ბევრი საინტერესო წინადადება, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის გაფართოებას დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრაში.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და სწავლების საკითხებს, იმ სიახლეებს, რომლებიც ამ სფეროში გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნებში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სუვერენული უფლებების გაფართოება უკვე დღეს გვაძლევს შესაძლებლობას მივავლინოთ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო ცენტრებში ნიჭიერი ახალგაზრდობა. შემდგომში ეს პრაქტიკა გაფართოვდება.

თანამედროვე ადამიანი ეკოლოგიურად ხალას გარემოში უნდა ცხოვრობდეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, რომელსაც კარგად ესმის ეს, ამ მიმართულებით მუშაობა თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ აქცია. სიტუაციის გაჯანსაღების მიზნით, კერძოდ, შეწყდა მთელი რიგი დიდი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა, რომლებიც პოტენციურად საფრთხეს უქმნიდნენ ბუნებას და ადამიანის ჯანმრთელობას. რესპუბლიკაში ეკოლოგიური ვითარება დღესაც მწვავეა. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სიტუაცია თბილისში. გარემოს გაჯანსაღება აქ, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე, უნდა გახდეს დედაქალაქის ყოველი მცხოვრების საქმე: იქნება ეს ქალაქის, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი თუ რიგითი მოქალაქე. ამ ამოცანების განხორციელებაში განსაკუთრებით დიდი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოება „თბილისელს", რომლის თავმჯდომარეა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. „თბილისელის" მოღვაწეობის მიმართ დღეს განსაკუთრებით დიდი ინტერესი იგრძნობა.

საუბრის დროს განიხილეს აგრეთვე სამთავრობო და რელიგიურ დაწესებულებათა ურთიერთობის სხვადასხვა საკითხი, იმსჯელეს ჩვენი საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების გადასაჭრელად ერთობლივი ძალისხმევის კონკრეტულ სფეროებზე.

(საქინფორმი)

შეხვედრა შრომითს კოლექტივთან

პირველ სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ი. პავშენცევი ეწვია თბილისის ჩარხსაშენებელ საწარმოო გაერთიანებას. გაიმართა გულახდილი საუბარი გაერთიანების მშრომელებთან მრავალ პრობლემაზე, რომლებიც აწუხებს დედაქალაქის შრომით კოლექტივებს. მუშებმა გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურისათვის პასუხისმგებელი ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას მშრომელთა წინაშე. განსაკუთრებით ბევრ საყვედურს იმსახურებს ვაჭრობისა და მომსახურების, კომუნალური მომსახურების სფეროების მუშაობა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მშრომელები ცხოველ ინტერესს იჩენენ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებისადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციისა და ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იმ ღონისძიებათა მიმართ, რომელთა მიზანია უზრუნველყოს რესპუბლიკის გადასვლა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სუვერენიტეტზე. განსაკუთრებით აქტიურად განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.

წარმოების მუშაკებთან საუბრის დროს დაწვრილებით დაახასიათეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა, რომელსაც იგი ეწევა მომავალი პლენუმისათვის მზადების მიზნით, გაამუქეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილი სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული განვითარების ფუძემდებელი საპროგრამო დოკუმენტების არსი, შეეხნენ აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიც არის რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მოვლენები და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის სტაბილიზაციისათვის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი.

ამასთან მშრომელების ყურადღება განსაკუთრებით მიაპყრეს იმას, რომ მუშათა კლასმა უფრო უნდა გააძლიეროს მეტევა რესპუბლიკის ცხოვრების ნეგატიური პროცესების, განსაკუთრებით კორუფციის, გამომძალველობის, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. დადებითად შეხვდნენ წინადადებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია და სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობის ძალისხმევის ინტეგრაცია რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის მქონე პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის.

(საქინფორმი)

აქტუალური ინტერვიუ

ვუპატრონოთ მიწას, ჩვენს მარჩენალს

გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის მიწათსარგებლობის სპეციალური კომისიის თავმჯდომარე

გურამ მგელაძე

თავისთავად უდავო ჭეშმარიტების მღაღადებელია ხალხური ანდაზა — თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო. და მით უფრო პარადოქსულია, რომ დღეს, როდესაც, ადრინდელთან შედარებით, არც განსწავლული სპეციალისტები გვაკლია და არც დიდმწარმოებლური ტექნიკა, სოფელი დაგვიუძლურდა, ლაღიანობა დაკარგა მიწამ, ჩვეული ხვავი და ბარაქა დააკლო ხალხს. ეს კი მიანიშნებს, რომ დროის რომელიღაც მონაკვეთში ჩვენც დაგვიკლია მისთვის გონივრული პატრონობა და მზრუნველი ხელი.

რა გაკეთდა, კეთდება და უნდა გაკეთდეს ამ დარღვეული წონასწორობის აღდგენის მიზნით? — როდესაც ამ საკითხზე ინტერვიუსთვის ვემზადებოდით, თავისთავად გამოიკვეთა ორი პრობლემა: მიწა — ჩვენი მარჩენალი, და გლეხი — ჩვენი დამპურებელი. თუმცა, ცხადია, მიწაში მარტოოდენ სასოფლო-სამეურნეო სავარგული არ გვიგულისხმია, და არც გლეხი გაგვიიგივებია მხოლოდ მიწის მუშასთან. ეს ორივე მნიშვნელოვანი პრობლემა კი გვსურდა მჭიდროდ დაგვეკავშირებინა საქართველოში ამჟამად არსებულ მდგომარეობასთან და მასთან ურთიერთკავშირით გვემსჯელა შექმნილ ვითარებაზე.

— ბატონო გურამ, დღეს ბევრი რამ იწერება მიწის დატაცებასა და დემოგრაფიული ბალანსის დარღვევაზე. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

— იქნებ რამდენადმე გაზვიადებულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ჩვენივე ბედოვლათობით, ხან უაზრო უძრაობით, ხანაც ენერგიული, მაგრამ ასევე უაზრო „მოძრაობით“ საქართველოს მიწა-წყალი ლამის არის შაგრენის ტყავივით შემოგვადნეს ხელში. და, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, დაირღვა მისი დემოგრაფიული ბალანსიც. რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად?

იმისათვის, რომ ქართველი ხალხი თავის მიწა-წყალზე მყარად დამკვიდრდეს, გამრავლდეს და თავსაც ბედნიერად გრძნობდეს, სულაც არ არის საჭირო რომელიმე სხვა ხალხისათვის ზიანის მიყენება. ქართველებმა, რომლებიც თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არასოდეს დასხმიან თავს სხვა ქვეყანას, არ მოუტაცნიათ სხვისი მიწა-წყალი, არასოდეს ყოფილან აგრესორები და ოკუპანტები, კარგად იციან, რომ სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერ ააგებ. ასეთი იყო და არის ქართველობის სულიერი კრედო, რომელსაც არ ეღალატება.

რაც შეეხება უშუალოდ დემოგრაფიული გაჯანსაღების მეტად მნიშვნელოვან და საშურ პროცესს, ამას ზედმეტი ხმაური კი არა, სისტემატური ერთობლივი ძალისხმევა და მეტი პრაქტიკული საქმე სჭირდება. ამით სრულიადაც არ ვაკნინებ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებაში ატეხილი განგაშის მნიშვნელობას, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გამოგვაფხიზლა. მაგრამ ახლა, ვიმეორებ, კონსტრუქციული ეტაპი დაიწყო და ყველამ — „ფორმალმა და არაფორმალმა“ ერთად უნდა ვიზრუნოთ მისი წარმატებით დასრულებისათვის.

— მიწა-წყალი სამშობლოს სინონიმია და მისი ღალატი ერის ღალატის ტოლფასია. ამიტომაც გვაინტერესებს რომელი უწყება თუ ორგანო, შეგნებულად თუ უნებლიედ, არღვევდა მიწათსარგებლობის წესებს და როგორია ამის შედეგი?

— პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენში მიწათსარგებლობის კანონმდებლობაც ისევე ირღვეოდა, როგორც ყველა სხვა წესი და რიგი ჩვენი ცხოვრებისა. თუმცაღა მიწების განიავებას, გეთანხმებით, ვერც ერთ სხვა დანაშაულს ვერ შევადარებთ.

როცა მიწა-წყალს ხელიდან გამოგვაცლიან, ხალხის ყოფნა-არყოფნის საფრთხე იქმნება. მიწათსარგებლობის კანონის უხეშ დარღვევებს კი ჩვენ, სამწუხაროდ, ახლაღა მივაქციეთ ყურადღება. არადა, ქართული მიწა-წყლის განიავების, მისი ულმერთოდ მიტაცების, მითვისებისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები არც გუშინ დაწყებულა და არც გუშინწინ. მაგრამ, აი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ნებაყოფლობითი“ განიავების პრაქტიკა კი მის შემდეგ დამკვიდრდა, რაც მიწას ნამდვილი პატრონი — გლეხი ჩამოვაცილეთ და ამით ფაქტობრივად „არავისი“ სტატუსი მივეცით.

ქართველი ერი მუდამ ფარითა და მახვილით იცავდა თავის მიწა-წყალს. ახლა ეს იარაღი არ გამოგვადგება. არადა, დღეს, როცა მართალ სიტყვას გასავალი მიეცა, მიწების ფანტვით დაგროვილი გულისწყრომა საზოგადოებამ ხმამაღლა გამოხატა. ჰოდა, ყველაზე მეტი საყვედური სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და პირადად ჩემი მისამართით გამოითქვა, თითქოს ეს უბედურება (სხვაგვარად მას ვერ უწოდებ) სწორედ რომ სამი წლის წინათ, ამ უწყების ხელმძღვანელად ჩემი დანიშვნის დღიდან დაწყებულიყოს.

ზოგს ჰგონია, თითქოს არსებობს რესპუბლიკაში ერთი კაცი ან თანამდებობის პირი, რომელიც მიწებს ანაწილებს. და ბევრს ასეთად აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე მიაჩნიათ, მე კი მიწებს არ ვანაწილებ და არც შემიძლია გავანაწილო. დღემდე მოქმედი კანონით მიწის პატრონად კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ითვლება, და მათი ნების გარეშე მიწათსარგებლობაში რაიმე ცვლილების შეტანა შეუძლებელი უნდა იყოს. მხოლოდ შრომითი კოლექტივი წყვეტს მიწის გამოყოფის საკითხს, რომელსაც შესაბამისი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ამტკიცებს. შემდეგ ამ გადაწყვეტილებას სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს, რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სათანადო სამსახურები ამოწმებენ და აფორმებენ, რის შემდეგაც საკითხი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაეცემა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაინც საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს აკისრიათ, რომლებიც მიწის უშუალო მფლობელები, პატრონები და დამცველები არიან.

მაგრამ, რა დასამალია, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ სუსტი კონტროლისა და წაყრუების შედეგად მარნეულში, გარდაბანში, ყვარელში, ზნაურსა და სხვა რაიონებში საკმაოდ ხშირი იყო მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები.

მარტო ბოლო 10 წლის მანძილზე გამოვლინდა ამის 19659 შემთხვევა, რომელთა შედეგად უკანონოდ გაცემული, დაკავებული და მიტაცებული აღმოჩნდა 6038 ჰექტარი ფართობი. აქედან ორგანიზაცია-დაწესებულებებზე მოდის 1732 შემთხვევა (3885 ჰექტარი), ხოლო მოქალაქეებზე — 17927 შემთხვევა (2153 ჰექტარი).

საქსახაგრომრეწვის შუამდგომლობით რესპუბლიკაში გამოვლენილ ამ დარღვევებზე ადგილობრივმა ადმინისტრაციულმა და საგამოძიებო ორგანოებმა მოახდინეს რეაგირება, მდგომარეობა გამოსწორდა და საზოგადოებრივ მეურნეობებს დაუბრუნდათ 5741 ჰექტარი მიწის ფართობი. მაგრამ, ვაი, რომ ყველაფერი ეს ძალიან ცოტაა. ამიტომაც ქართველი ერის ინტერესების შესაბამისად ქართული მიწის დაცვა თითოეული ჩვენგანისაგან გაცილებით მეტ სიფხიზლეს, შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, და სრულიადაც არა კრიტიკისაგან თავის დაზღვევის მიზნით, დავსძენ, რომ პირადად მეც, როგორც რესპუბლიკური უწყების ხელმძღვანელს, რა თქმა უნდა, უფრო პრინციპულად და თავგამოდებით უნდა მებრძოლა ამისათვის. პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, მაგრამ გულახდილად რომ ითქვას, მიწის განიავების ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში არც ახლა და ვერც მომავალში ერთი ან ორი კაცი ვერაფერს გახდება. აქ საჭიროა ერთიანი, ეროვნული, შეუნელებელი ბრძოლა, ისეთი, როგორიც ახლა გაიშალა, და მაინც, ალბათ, ყველაზე საიმედო ღონისძიება მიწათპატრონობის კანონის შეცვლა იქნება...

— რაკი პირადი პასუხისმგებლობა ახსენეთ, რით ახსნით იმას, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მიწათსარგებლობის საკითხებზე საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას, უკაცრავად ვართ ამგვარი გამოთქმისათვის, ყველას თითი რომ გვიქნიეთ? მით უფრო, რომ, როგორც თვითონ ახლახან ბრძანეთ, სახაგრომრეწვი საკმაო პრინციპულობით ვერ იღვწოდა ამ მიმართებით.

— ჩემი პოზიცია დღესაც უცვლელია. ერთგვარად უხერხულად მეჩვენება ასეთი შედარება, მაგრამ შენი შეკერილი ფეხსაცმლით ბევრა რომ გამიჩნდება და მერე შენვე დამაჭერ ფეხს, ხშირად ძნელია თავაზიანი ღიმილი. მართალია, ბევრს ვცდილობ, მაგრამ შეიძლება ყველაფერს თავი მაინც ვერ გავართვა და ნაკლოვანებებიც საკმაოდ მქონდეს.

თანაც, იცით რა? დღეს შეიძლება ასო-ასო შეასრულო კანონი და ბოროტმოქმედება კი ჩაიდინო, ან პირიქით, შეიძლება კანონი დაარღვიო და ამით სიკეთეს ემსახურო. თითქოსდა ალოგიკურია, არა? მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლებელია, თუ კანონი მოძველებული ან ორჭოფულია.

ქართული მიწის დაცვა-გაფრთხილებისა და დემოგრაფიული ბალანსის აღდგენისათვის ბრძოლაში ახალი კანონი უნდა დაგვეხმაროს. ამიტომაც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტისა და მიწათსარგებლობის სპეციალური კომისიის აზრით, აუცილებელია საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ოპერატიულად მიიღოს მიწათსარგებლობის ახალი კანონი, რომელიც უწინარესად ეროვნულ ინტერესებს დაიცავს. სხვაგვარად ძალიან გვიჭირს, რადგან პირადად მე ხშირად მიწევს ამჟამად მოქმედი კანონის დარღვევა. თანაც ქართველი ერისათვის საარსებო მნიშვნელობის ეს პრობლემა უთუოდ მთელი ერისავე ერთობლივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ამიტომაც მე ვთხოვე ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს და ახლაც ვთხოვ ყველა დაინტერესებულ პიროვნებას, მობრძანდით აგრომრეწვში, მის ოპონენტურ კომისიაში, გაეცანით არსებულ მასალებს, კონკრეტულ ფაქტებს, მოვისმენთ პრეტენზიებს, ყოველნაირად დაგეხმარებით ადგილებზე საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლაში. დამერწმუნეთ, ჩვენი საერთო საქმისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს საჭიროა არა მარტო სინამდვილის ცოდნის, არამედ უწინარესად იმისთვის, რომ სწორად „ვუმკურნალოთ“ სენს, სხვაგვარად ჭორი, მითქმა-მოთქმა და არაკომპეტენტურობა წამლად არ გამოგვადგება.

რაც მთავარია, ეს დაგვეხმარება იმაში, რომ გამოწვლილვით ჩავწვდეთ ყოველ ასეთ დანაშაულს და საკადრისად მივუზღოთ ყველას, ვინც თავისი ანგარებიანი მოქმედებით თუ დანაშაულებრივი შემწყნარებლობა-უმოქმედობით ხელს უწყობს ქართული მიწის დატაცებას.

— ახლა, თქვენი ნებართვით, ოდნავ გადავუხვიოთ საუბრის თემას. რაც გვაქვს, იმ მიწას კარგად ვპატრონობთ? ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი კითხვა: არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ძალზე პოპულარული იყო აბაშის ექსპერიმენტი. მის შესახებ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ბევრი იწერებოდა. თქვენს სახელთან არის დაკავშირებული აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ერთიანი სისტემის შექმნა, რომელმაც, როგორც ითქვა, ქვეყანაში ვერ გაამართლა. საინტერესოა თქვენი აზრი და დღევანდელი პოზიცია ამ მხრივ.

— როგორც ცნობილია, აბაშის ექსპერიმენტის უმთავრესი მიზანი იყო სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების საფუძველზე დოვლათის სიუხვის მიღწევა, ანუ ისეთი პირობების შექმნა, როდესაც გლეხიც მოიგებდა და საქმეც. მაგრამ დღევანდელობისაგან განსხვავებით, როცა ყოველ დონეზე ყოველნაირად უწყობენ ხელს ყოველივე პროგრესულს, მაშინ ამის გაკეთება, რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელობის და პირადად პირველი მდივნის უდიდესი მხარდაჭერა რომ არა, პრაქტიკულად შეუძლებელიც იყო. ასეა თუ ისე, საწადელს მაინც მივაღწიეთ და ეს ძნელი პრობლემა, ვგონებ, საკმაოდ ცხოვრებისეულად გადავჭერით. თუმცა ბიუროკრატიულმა აპარატმა არც იქ მოგვცა ჩაფიქრებულის სრულად განხორციელების საშუალება. თანაც დროც არ გვეყო: შეიქმნა სახაგრომრეწვი, რომელსაც ბევრი არაფერი აღმოაჩნდა საერთო მართვის თავდაპირველ, ჩვენეულ იდეასთან.

ის, რაც მაშინ აბაშაში გაკეთდა, და რასაც გლეხისათვის მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური გაპიროვნება ერქვა სახელად, ფაქტობრივად იგივე იყო, რასაც ახლა იჯარას ვუწოდებთ. გლეხმაც პრაქტიკული საქმეებით იგრძნო თავი მიწის ნამდვილ ბატონ-პატრონად და საოცარ წარმატებებსაც მიაღწია: იმავე სავარგულიდან, რომელზეც კოლმეურნეობას მანამდე 12 ცენტნერი სიმინდი მოჰყავდა, მან 48 ცენტნერი მოიწია.

მაგრამ როგორ გგონიათ, საბჭოური ბიუროკრატია ტაშით შეხვდა ამ ფაქტს? მისი აზრით, თურმე, 12 ცენტნერის მიღება მარქსისტულად გამართლებული იყო, 48 ცენტნერის მოწევა კი დასაგმობი, როგორც არასოციალისტური იდეოლოგიით მოყვანილი სიმინდისა. და ამას სრულიად სერიოზულად ამტკიცებდნენ.

ეს რაც შეეხება ექსპერიმენტის მიზანს. მისი მთავარი ფორმულა კი ასეთი იყო: მიწას უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი, რომლის ხელშიც იქნება კონცენტრირებული გუთანიც, ტრაქტორიც, სატრანსპორტო და სხვა საწარმოო საშუალებანიც. ეს აუცილებელი იყო, რადგან, როგორც ცნობილია, როცა ერთი ხნავს, მეორე თესავს, მესამე მარგლავს, მეოთხე კი მოსავალს ეპატრონება, ასეთ ყანას, ჩვეულებრივ, წერო ჭამს.

მაგრამ როდესაც მეურნეობრიობის ეს ფორმა ქვეყნის მასშტაბით დაინერგა, სოფლის დოვლათის სიუხვის მიზნით, გაერთიანებულ უწყებათა სამსახურებს ხელაღებით შეუერთეს გადამმუშავებელი მრეწველობაც. თავისთავად ეს პრინციპი ცუდი არ არის, მაგრამ მაშინ ჩვენ მზად არ ვიყავით ასეთი მასშტაბური გარდაქმნისათვის. თანაც ამით მართვის ოპტიმალური და მოქნილი მექანიზმის ნაცვლად შეიქმნა თითქმის უმართავი „მანქანა“. ამან კი მინდვრებსა და ფერმებში მუშაობაზე უფრო აუცრუა გული ისედაც გულგატეხილ ხალხს.

— ამას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კიდეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი მარტის პლენუმმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საკავშირო აგროსამრეწველო კომიტეტის გაუქმების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით გვითხარით, როგორ მიმდინარეობს მართვის დეცენტრალიზაცია? და კიდევ, გრძნობთ თუ არა მეტ დამოუკიდებლობას, შეუძლია თუ არა რესპუბლიკის აგრომრეწვს ცენტრთან შეუთანხმებლად მნიშვნელოვანი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა?

— ადრინდელთან რა შედარებაა! იყო დრო, როცა ცხვირის დაცემინება მოსკოვისთვის რომ არ შეგვეთანხმებინა, „ხეირიო“, არ გვეტყოდნენ. გაუთავებელი ჭკუის მასწავლებელი კომისიების სტუმრობას ხომ თვლა არ ჰქონდა. თუმცა ამ მხრივაც ჯერ კიდევ ბევრია მოსაპოვებელი. მაგრამ მინდა ყველა განსაკუთრებით ჩაუკვირდეს ერთ საკითხს: ჯერჯერობით ჩვენ ისევ საკმაოდ მტკიცე ძაფებით ვართ დაკავშირებული და დამოკიდებული ცენტრზე, ურომლისოდაც დღესდღეობით ფონს ვერ გავალთ.

— რახან საუბარი ასე შემოტრიალდა, ერთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი. საქართველო ამჟამად ემზადება ეკონომიკური სუვერენიტეტის გზაზე პირველი ნაბიჯების გადასადგმელად. როგორ გესახებათ მისი მომავალი ასეთ პირობებში? საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილი პესიმისტურად არის განწყობილი — შიმშილით ამოგვხდება სულიო, უმრავლესობა კი მაქსიმალისტური ოპტიმიზმით აცხადებს — ავშენდებითო. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, არც ერთია მთლად მართალი და არც მეორე. საქართველოს მიწა-წყლისა და ბუნების პატრონი კი არა; უდაბნოს მკვიდრიც კი ვერ იტყვის, ჩემი რესურსები ვერ მასაზრდოებსო. ერთიც არის: იმათთვის, ვინც პრაქტიკულად მონაწილეობს დოვლათის შექმნაში და ხედავს როგორ მზადდება არამცთუ ნორმალური ცხოვრებისათვის, არამედ უბრალოდ თუნდაც არსებობისათვის აუცილებელი პროდუქტი, დამოუკიდებელი ეკონომიკა სულ სხვა რეალობაა. დღეს რომ საქართველოს ეკონომიკა საკავშირო ეკონომიკური კომპლექსიდან ხელაღებით ამოგლიჯო, ეს ნიშნავს მოახდინო ეკონომიკურ-სოციალური ავარია, დალეწო რესპუბლიკის ეკონომიკა და სარჩოს მისაღებად ხელი სხვას გაუწოდო. ამ საქმეში სასურველი შედეგი, რომლის მიღწევას გარკვეული დრო და დიდი შრომა სჭირდება, დღესვე სინამდვილედ არ უნდა მოგვეჩვენოს.

ხშირად მსმენია: არა უშავს რა, ცოტას გავიჭირვებთ, ვიშიმშილებთ და მერე ყველაფერი კარგად იქნებაო. ერთი შეხედვით, სწორი ნათქვამია, მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით მეტი დაკვირვება და პრაქტიკულობა გვმართებს. თანაც სიფრთხილისათვის მომწოდებლები მშიშრები ნურავის ეგონება. როდესაც საქმე პირადად გეხება, სითამამე და რისკი ვაჟკაცობაშიც შეიძლება ჩაგეთვალოს, მაგრამ ყოველმხრივ აწონ-დაწონის გარეშე სასწორზე სამშობლოს ბედის შეგდება, მეტი რომ არა ვთქვა, მკრეხელობაა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მისი ყველა სიკეთე ღვთის ნაბოძები საჩუქარი როდია, ციდან თავისით ჩამოვარდეს. ამისათვის, ბევრ სხვა რამესთან ერთად, საჭიროა ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის ნებისმიერ უბანზე შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გაზრდა, არსებული საწარმოო პოტენციალისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური, ეფექტიანი გამოყენება და სხვა.

ეს არის მთავარი და აუცილებელი, თორემ სხვა მხრივ არ უნდა გაგვიჭირდეს. საკითხს სულაც არ ვამარტივებ, მაგრამ რესპუბლიკას საკმაოდ დიდ სარგებლობას მისცემს უბრალო წყაროს წყალიც კი, რომელიც ჩვენთან თითქმის ყველა სოფელში მოჩუხჩუხებს და რომელზეც მსოფლიოში დღეს დიდი მოთხოვნილებაა. სხვათა შორის, უცხოური ფირმები გვთავაზობენ ამ მხრივ თანამშრომლობას.

ასე რომ, დამოუკიდებელი ეკონომიკური არსებობისათვის მართლაც უზარმაზარი შესაძლებლობები გვაქვს, მაგრამ დღეისათვის ეს უძრავი კაპიტალია. საჭიროა მისი ამოქმედება და საქმის სამსახურში ჩაყენება. საამისოდ მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

ეროვნული დოვლათის შექმნა-გამრავლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად გვესახება სოფლად გლეხური მეურნეობების ფართოდ განვითარება. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უკვე მიიღო დადგენილება ექვს რაიონში მათი შექმნის შესახებ. იქ მიწა გლეხებს სამუდამოდ და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით ეძლევათ. ისინი თავადვე გადაწყვეტენ, თუ რომელი და რამდენი პროდუქცია აწარმოონ, და საკუთარი სურვილისამებრ მოიხმარენ. ეს უთუოდ მიაბრუნებს სოფლისაკენ არა მარტო ადგილობრივ გლეხს, არამედ სხვა ფენების წარმომადგენლებსაც. თუმცა ეს მნიშვნელოვანი საკითხი ცალკე და საგანგებო მსჯელობის საგანია.

— ამ ბოლო დროს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ არაფორმალური ორგანიზაციები, რას გვეტყოდით მათ შესახებ?

— ჯერ ერთი, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ საერთოდ, და მით უფრო 9 აპრილის შემდეგ, შეცდომად მიმაჩნია საზოგადოების ფორმალებად და არაფორმალებად დაყოფა. მეორეც, ვფიქრობ ყველამ, როგორც ხელმძღვანელობამ, ისე არაფორმალებმა, საბოლოოდ უნდა შევიგნოთ ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ჩვენ ერთნი, ერთი ერის შვილები ვართ. ამიტომ თუ გვსურს მშობელ ერს სიკეთე მოვუტანოთ, ერთიანი მიზანი და საერთო ინტერესები უნდა გვქონდეს, თუმცა მისი მიღწევის გზა შესაძლოა სხვადასხვანაირად წარმოგვედგინოს. ამდენად, რაიმე პირადული, სიმპათია-ანტიპათია თუ სუბიექტური დამოკიდებულება უკანა პლანზე უნდა გადაანაცვლო და საღად გააანალიზო ვითარება.

ეს ურთულესი პროცესია და მარტივი, სახელდახელო დასკვნების გამოტანა, ალბათ, შეცდომა იქნება. ასე რომ, ვერაფერს გეტყვით ორიგინალურსა და საინტერესოს. ერთი კი საწყენია — ჯერჯერობით არ იგრძნობა საქმიანი, დაინტერესებული დიალოგისადმი მუდმივი მისწრაფება. არაფორმალებიც და ფორმალებიც ჯერხნობით კვლავ ჩვენ-ჩვენს მონოლოგებს ვიმეორებთ.

არადა, ქვეყნის ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი და უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ერის, ხალხის კონსოლიდაციას ერთი მიზნის მისაღწევად, ერთი ამოცანის გადასაწყვეტად. პოლიტიკურ შეხედულებათა პლურალიზმსა და შეხედულებათა მრავალსახეობას მხოლოდ ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

დანაწევრებულ, დაქსაქსულ, ბანაკებად დაყოფილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ერთობ გაუჭირდებათ უმთავრესი სტრატეგიული ამოცანის ხორცშესხმა.

ამ პოზიციიდან ვუყურებ და ვაფასებ მე არაფორმალთა მოძრაობას. ღრმად მწამს ამ მოძრაობის ეროვნული სულისკვეთება და ხალხის ნება-სურვილის გამოხატულება.

ამიტომ, ვიმეორებ, ბოლო უნდა მოეღოს მონოლოგებს, უწყებრივ ამბიციებსა და მოჩვენებითი პრესტიჟისათვის გაუთავებელ ბრძოლას. მხოლოდ ერთიანობა მისცემს საქართველოს საშუალებას მიაღწიოს თავის სანუკვარ ოცნებას.

გაბედულად უნდა დავძლიოთ სიძნელეები, ვეძებოთ პოლიტიკის გამაერთიანებელი ძაფები, ჩამოვაყალიბოთ ერთიანი, ძლიერი, საიმედო სტრატეგია. სხვაგვარად გაგვიჭირდება.

— და ბოლოს, ერთი შეკითხვაც: თქვენ მუხრან მაჭავარიანთან, გურამ ფანჯიკიძესთან, რევაზ მიშველაძესთან და სხვებთან ერთად ბრძანდებოდით დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყვარლის რაიონში მცხოვრები ავარიელი მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. როგორია ამ ვიზიტის შედეგი?

— დიახ, ასეთი მისიით ვიყავი დაღესტანში და, გულახდილად გეტყვით, მასპინძელთა გულთბილობამ მოლოდინს გადააჭარბა. რაკი ეს პრობლემა თავისთავად ძალზე მწვავე და ფაქიზია, სიძნელეების გადაულახავად სასურველ შედეგს არც ველოდით, მაგრამ ასე თუ ისე შევთანხმდით. ამის საფუძველზე სოფელ თხილისწყაროდან დაღესტანში უკვე გადასახლდა 66 კომლი, რომელთა სახლები ქართველმა მოსახლეობამ შეიძინა. მშობლიურ მხარეში დასაბრუნებლად ემზადება 150 ახალსოფლელი ავარიელის ოჯახიც.

ესაუბრა
რუსლან რუსია.

იქმნება ახალი დასახლება

სტიქიური უბედურების შედეგად სვანეთიდან გამოხიზნულებს ფართოდ გაუღეს კარი წყალტუბოს ზონის სოფელ საყულიაში. აქ 250 ოჯახი დასახლდა. ამჟამად შენდება 85 საცხოვრებელი სახლი. უკვე აშენდა საშუალო სკოლა, საფოსტო ცენტრი, საქვაბე, 300-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური. სწრაფი ტემპით შენდება 150 ბავშვისათვის გათვალისწინებული საბავშვო ბაღი, რომელსაც ექნება კეთილმოწყობილი სასტუმრო, მუსიკალური და სპორტული დარბაზები. მას აგრომშენის სამტრედიის მე-2 ტრესტის 25-ე მექანიზებული კოლონა აშენებს. იწყება საყოფაცხოვრებო კომბინატის სახლის მშენებლობა. იქ მოთავსდება სამედიცინო პუნქტი, კავშირგაბმულობის კვანძი, სასტუმრო და სხვ. მომავალში გათვალისწინებულია კულტურის სახლის, აბანოს, წყალსადენის მშენებლობა. გაჰყავთ გზები, ეწყობა მათი განათება.

მალე საყულია ერთ-ერთი კეთილმოწყობილი თანამედროვე სოფელი იქნება.

სურათებზე: (ზევით, მარჯვნიდან მარცხნივ) სამუშაოთა მწარმოებელი თამაზ ოთოშია, გზების მშენებელი ინჟინერი ოლეგ კაკაბაძე, საყულიის დასახლების მშენებლობის დამკვეთი ორგანიზაციის უფროსი ლევან ყიფიანი და უბნის უფროსი რაულ ხუჭუა საბავშვო ბაღის მშენებლობაზე; (ქვემოთ) საყულიას ახალმშენებლობანი.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



აჭარელთა დასახმარებლად

სტიქიით დაზარალებული მთიანი აჭარიდან ჯავახეთში ჩამოსახლებულ ოჯახებს დახმარების ხელი გაუწოდეს საქართველოს სსრ გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და გამომცემლობა „განათლების“ შრომითმა კოლექტივებმა, რომელთა წარმომადგენლები ახლახან ახალქალაქის რაიონის სოფლებში, ოკამსა და გოგაშენში ჩამოსახლებულ აჭარლებს ეწვივნენ. მათ საჩუქრად ჩამოიტანეს ექვსი ათასი მანეთის სურსათი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ლოგინი, თეთრეული, სასკოლო სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა და სხვა.

— მამა-პაპათა ადათით, როდესაც მეზობელი, ახლობელი სახლს აშენებს, აუცილებლად უნდა დაეხმარო, — თქვა გამსახკომის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ ბარაბაძემ, — ჩვენც სწორედ ამ მიზნით ვესტუმრეთ აჭარელ ძმებს.

ელგუჯა კოპაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ადრეული რთველი გურჯაანში

ცხელმა ზაფხულმა გურჯაანელთა ზვრებში ადრე დაამწიფა ყურძენი. ამან ერთიორად გაზარდა მოსავლის უდანაკარგოდ დაბინავების მნიშვნელობა, მაგრამ ხანგრძლივმა გვალვებმა საგრძნობლად დააზარალა რაიონი. ამინდის ჭირვეულობამ სხვა მრავალი წინააღმდეგობაც შეუქმნა მეზვრეებს, — სეტყვამ არაერთხელ მოითარეშა ვენახები. თუმცა შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენებამ, მონდომებამ და ორგანიზებულობამ ერთგვარად შეანელა სტიქიით გამოწვეული სიძნელეები.

წელს ჩუმლაყელთა ვენახების ნახევარზე მეტი დაისეტყვა, ზოგან მტევანიც არ შერჩა ვაზს, მაგრამ აქაური მშრომელები იმედს გამოთქვამენ, რომ ღვინის ქარხნებში გეგმით გათვალისწინებულ 7500 ტონა ყურძენს მაინც მიიტანენ. ამის საფუძველს ქარუმ ბერდიაშვილის, იოსებ კუტიბაშვილის, ილო ოსოშვილის ბრიგადების კარგად მოვლილი ზვრები იძლევა. ამ ბრიგადებში, როგორც მთლიანად კოლმეურნეობაში, ოჯახური იჯარით მომუშავე მევენახეები არიან გაერთიანებული. საბოლოო შედეგით დაინტერესებამ უზრუნველყო უხვი მოსავლის მოყვანა. პირველივე დღეებში საჰექტარო მაჩვენებელი 80 ცენტნერს აჭარბებს. კარგ შედეგს ელიან ასევე შაშიანელი, ვაზისუბნელი, ველისციხელი მშრომელები, სულ გურჯაანის რაიონის საზოგადოებრივ სექტორში 70 ათასი ტონა ყურძნის მიღებას ვარაუდობენ.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს პროფსაბჭოში

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის სასწავლებლებში სასწავლო წელი 1 სექტემბრის ნაცვლად დაიწყება 2 ოქტომბერს, საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება პიონერთა და უფროსკლასელთა გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობა გააგრძელოს 2 ოქტომბრამდე. დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს და წარმოება-დაწესებულებების პროფკომიტეტებს დაევალათ სრულად დააკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნები მათი შვილების პიონერთა და უფროსკლასელთა ბანაკებში გაგზავნის შესახებ. (საქინფორმი).

„პარტიული სიტყვა“ № 16

ჟურნალი აქვეყნებს ნაწყვეტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის საუბრიდან სსრ კავშირში ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან რობინ ეშვინთან, რომელიც გაცნობის მიზნით მოგზაურობდა საქართველოში. სწორედ ამ პუბლიკაციით იხსნება ჟურნალის ახალი ნომერი. „წესდების შესაბამისად“ — ასე იწოდება მასალას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1989 წელს პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის შესახებ.

ჟურნალში დაბეჭდილია ნაწყვეტები 1989 წლის 18 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებიდან. იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ საქართველოში აზერბაიჯანელები, გვიამბობს თავის პუბლიკაციაში „ჩვენ — საქართველოს აზერბაიჯანელები“ გაზეთ „სოვეთ გიურჯისთანის“ რედაქტორი სულეიმან სულეიმანოვი. ჟურნალი მკითხველს სთავაზობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომითი რესურსებისა და დემოგრაფიის სექტორის გამგის გია ფირცხალავას სტატიას „თაობათა განახლება“.

ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში კოოპერაციული მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებას ეძღვნება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის კახი ჯაყელის სტატია „რისკით მიღებული მილიონები“. დაბეჭდილია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ალექსეევის სტატიის „მოულოდნელი დიალოგის“ დასასრული.

ნომერში გამოქვეყნებულია მკითხველთა წერილები, ფელეტონი, მასალები სამედიცინო და საერთაშორისო თემებზე. მოკლე ათეისტური ლექსიკონი, პასუხი ჟურნალის კრიტიკულ გამოსვლებზე. (საქინფორმი).

სახალხო მეურნეობა: რადიკალური რიფორმა

სიძნელეთა დაძლევის გზით

სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატი ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც. ამჟამად აქ ორი ათასამდე მუშა-მოსამსახურეა. ავეჯის გარდა კომბინატი უშვებს ისეთ დეფიციტურ პროდუქციას, როგორიც არის მერქან-ბურბუშელოვანი ფილა, სინთეზური შპონი, პარკეტი, ლამინირებული ფილა და სხვა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა მერქან-ბურბუშელოვან ფილაზე, რომელიც მთავარი მასალაა საავეჯო მრეწველობაში, ხოლო კომბინატი ერთადერთი საწარმოა მთელ ამიერკავკასიაში, რომელიც ამ პროდუქციას უშვებს.

შარშანდელი წლის დასაწყისიდან კომბინატი სრული სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. მაგრამ იმის გამო, რომ ახალ სამეურნეო მექანიზმზე გადასვლა რამდენადმე ნაჩქარევი და მოუმზადებელი იყო, გზადაგზა სიძნელეებმა იჩინეს თავი. ამ სიძნელეებსა და გარდაქმნის პირველ ნაბიჯებზე ესაუბრა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს კომბინატის დირექტორი ნოდარ ბახტაძე.

მალე მივხვდით, გვითხრა მან, რომ ავჩქარდით. როგორც კი სამეურნეო წლის შედეგები შევაჯამეთ, სავსებით ნათელი გახდა, რომ მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასასვლელად საკმაოდ მომზადებული არ ვიყავით. მართალია გადაჭარბებით შევასრულეთ სასაქონლო პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, აგრეთვე მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმები, გათვალისწინებულზე მეტი ხარისხისნიშნიანი პროდუქცია გამოვუშვით (ახლა მისი წილი მთელ სასაქონლო პროდუქციაში 43 პროცენტზე მეტია), მაგრამ ვერ შევძელით ნაწარმის დამზადება დაგეგმილი ნომენკლატურის მიხედვით. ამიტომ მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებიც ვერ შევასრულეთ ჯეროვნად, ვერ შევამცირეთ პროდუქციის თვითღირებულებაც. ყოველივე ამან, ცხადია, სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის პირობებში გაგვიუარესა საფინანსო მდგომარეობა და ფონდების წარმოქმნის მაჩვენებლები. საწარმოს დიდძალი ვალი აქვს გადაუხდელი, ეს კი კარგს არაფერს გვიქადის. სრულ სამეურნეო ანგარიშზე ყოფნა შეუძლებელია მტკიცე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გარეშე.

როგორც ხედავთ, ხარვეზები და ნაკლოვანებები ბევრი გვაქვს, მაგრამ ჩვენ ამას დროებით მოვლენად ვთვლით, კომბინატის შრომითი კოლექტივს იმედი აქვს, რომ სიძნელეებს გადალახავს და წარმატებით გაართმევს თავს გარდაქმნის ამოცანებს. ამას დაიმედებით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ წარმოქმნილი სიძნელეები საწარმოს გადაიარაღების, მისი ახალი ტექნიკით აღჭურვის, განახლება-რეკონსტრუქციის სამუშაოებთან არის დაკავშირებული და როგორც კი ეს რთული პროცესი დამთავრდება, კომბინატს საშუალება მიეცემა ყოველმხრივ გამართულად იმუშაოს ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში.

წინ რთული და დაძაბული სამუშაოებია. თითქმის მთლიანად უნდა კვლავ აღიჭურვოს მერქან-ბურბუშელოვანი ფილების ქარხანა. სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 11 მილიონ მანეთს აღემატება, აქედან 5,5 მილიონი მანეთი მარტო იმპორტული მოწყობილობის შესაძენად დაიხარჯება.

კომბინატში მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა პოლონური წარმოების მერქან-ბურბუშელოვანი ფილების დამამზადებელი ორი ტექნოლოგიური ხაზი, რომლებიც ჯერ კიდევ 1976 წელს დამონტაჟდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ. დანადგარები იმთავითვე არასრულყოფილი აღმოჩნდა და მათი საპროექტო სიმძლავრეები სრულად ვერ ავითვისეთ. ამასთან ამ ცამეტი წლის განმავლობაში მანქანები ტექნიკურად მოძველდა და გამოშვებული ფილების ხარისხი ვერ აკმაყოფილებდა ავეჯის დამზადების თანამედროვე სტანდარტებს. ამიტომაც გადაწყდა საწარმოს გადაიარაღება-რეკონსტრუქცია. შევიძინეთ ფინური სააქციო საზოგადოება „რაუმ-სეპოლას“ მაღალმწარმოებლური ავტომატიზებული ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც წელიწადში 80.000 კუბურ მეტრ ფილას გამოუშვებს. ეს საშუალებას მოგვცემს ერთი ხუთად და მეტად გავზარდოთ არა მარტო გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, არამედ შრომის ნაყოფიერებაც. კომბინატისათვის მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლე იქნება აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან შესყიდული და დამონტაჟებული გრძივი პროფილირებული დეტალების ფაროვანი დეტალების შემოჭრისა და წიბოს დაფანერების ტექნოლოგიური ხაზები, სახეხი და საბურღ-საჭითი აგრეგატები, ხის დამუშავების წარმოებასა და მერქან-ბურბუშელოვანი ფილების ქარხანაში დაიდგმება აგრეთვე სამამულო წარმოების უახლესი დაზგა-დანადგარები.

გადაიარაღება-რეკონსტრუქცია უკვე მეორე წელია მიმდინარეობს და წლეულს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სამუშაოთა წარმოების — მშენებლობისა და მონტაჟის დღევანდელი ტემპით საეჭვოა ეს ამოცანა შესრულდეს. კომბინატის რეკონსტრუქცია თავიდანვე შეფერხებებით დაიწყო. თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე ვერ სრულდებოდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. არადა, კვლავაღჭურვის გაჭიანურება, მეტადრე მერქან-ბურბუშელოვანი ფილების ქარხნისა, მძიმე მდგომარეობაში აყენებდა არა მარტო ჩვენს კომბინატს, არამედ მთელი რესპუბლიკის ავეჯის წარმოებას, რადგან ყველგან დიდი მოთხოვნილებაა, მწვავე დეფიციტია ამ ფილებზე. ამ გარემოებათა გათვალისწინებით სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ ამ სამუშაოთა დაჩქარების ახალი ღონისძიებანი დაგვისახა. მობილიზებული იქნა მშენებელ-მემონტაჟეთა ახალი ძალები და შედგა სამუშაოთა წარმოების ახალი გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სამშენებლო-სამონტაჟო, შეფმონტაჟისა და გამართვის სამუშაოები წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს, წელსვე უნდა იქნეს მზად ამაღლებული ბაქანი, საინჟინრო კომუნიკაციები, გამწმენდი ნაგებობანი და მოხდეს ხაზების საცდელი ამოქმედებაც.

და აი, ახლა, ამ ახალი გრაფიკითაც სამუშაოთა მიმდინარეობისა და დამთავრების ვადების დაცვაც ძნელდება. იმის გამო, რომ ობიექტები უზრუნველყოფილი არ არის ამწე მექანიზმებით, ხშირად ცდება მემონტაჟეთა ბრიგადები, შეფერხებებია გენმოიჯარე ორგანიზაციის ცემენტითა და საჭირო ლითონით დროულად მომარაგების საქმეში, კვალიფიციური მუშახელით დაკომპლექტებაში. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მთელი ფრონტით გაშლას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ დროულად არ სრულდება საპროექტო სამუშაოები გაზიფიკაციის, გამწმენდი ნაგებობებისა და სხვა უბნების მოწყობისათვის, ხშირია შეცდომები სამშენებლო სამუშაოთა დაპროექტებისას, ხოლო შესწორებები და გადაკეთებები საქმეს აჭიანურებს....

ასე რომ, კომბინატის კოლექტივს, ერთობ კრიტიკული და საპასუხისმგებლო პერიოდი უდგას. საწარმო იმ დროს გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, როდესაც მისი გადაიარაღება-რეკონსტრუქცია, უახლესი ტექნიკით აღჭურვა მიმდინარეობს. ამან დიდი სიძნელეები წარმოშვა. მეურნეობრიობის ახალ პირობებში წლევანდელი სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებას იგი მხოლოდ ამ სიძნელეებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზით შეძლებს. სიძნელეებს კი მარტო სხვათა შემყურე მოიჯარე ორგანიზაციების — მშენებლების მოიმედეობით ვერ დავძლევთ. მთელ ჩვენს კოლექტივს დაძაბული მუშაობა მართებს, რათა ჩამორჩენას თავი დავაღწიოთ და სახელმწიფო ვალიდან ამოვიდეთ. კვლავაღჭურვა-რეკონსტრუქციის შემდეგ კი იმედი გვაქვს სწრაფად გავიმართოთ წელში და სანიმუშო საწარმოთა რიგებში ჩავდგებით.

ესაუბრა
მიხეილ მიქაძე.

ხალხის აზრით...

9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის მასალები

„კომუნისტის" მკითხველს ვთავაზობთ 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური საკითხების ქვეკომისიის მასალებს. კერძოდ, აქ საუბარია თბილისის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ჯგუფის ანკეტურ გამოკითხვაზე. როგორც ქვეკომისია მიუთითებს, ეს გამოკითხვა რამდენიმე თვის წინათ ჩატარდა, მაგრამ დასკვნები გაკეთდა და რედაქციას წარედგინა მხოლოდ ახლახან, სხვა ქვეკომისიების კვლევის შედეგების გათვალისწინებით. ასეა თუ ისე, სადღეისოდ უკვე საჭიროა ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა, რაც განზრახულია კიდეც.

1. აპრილის ტრაგედიის გარემოებათა ზოგიერთი მახასიათებელი: 9 აპრილს ჯარის ნაწილების მიერ თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დარბევის წინა პერიოდში საქართველოში შექმნილი იყო დაძაბული სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური სიტუაცია.

გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესებმა ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აქტიურობის დიდი აღმავლობა გამოიწვია. ჩვენი ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა სამართლიანი სოციალური, ეკოლოგიური და ეროვნული მოთხოვნები წამოაყენეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მიჩვეული იყო საზოგადოების ავტორიტარულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვას და ამიტომ მოუმზადებელი შეხვდა საზოგადოების უჩვეულო მოთხოვნებსა და აქტიურობას. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ვერ გამონახა საზოგადოების მართვის ახალი ფორმები და ადმინისტრაციული მეთოდებითა და ძალის პოლიტიკით სცადა მის წინაშე დასმული პრობლემების გადაწყვეტა. ამ გზით ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობამ ერთ ხანს თითქოს მოახერხა კიდეც საზოგადოების აქტიურობის შენელება და მწვავე პრობლემების თავიდან აცილება, მაგრამ პრობლემების ნაწილობრივი გადაწყვეტის გზით ბოლომდე შეუძლებელი გახდა საზოგადოების მართვა. ხალხში ფარულად და თანდათანობით ძლიერდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოლიტიკური საქმიანობისა და მუშაობის სტილის მიმართ. იგი აღარ შეესატყვისებოდა არც საჯაროობისა და გარდაქმნის პროცესებს, რომელიც ჩვენში მკვიდრდებოდა და არც ეროვნულ მოთხოვნებს, რომლებიც სრულიად სამართლიანად აღმოცენდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

მწვავე ეკოლოგიური და ეროვნული პრობლემების მიმართ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არასწორ პოზიციას განსაკუთრებით მკვეთრად არაფორმალური ჯგუფების ლიდერები დაუპირისპირდნენ. პარტიის ხელმძღვანელებისა და არაფორმალების პოზიციათა მკვეთრი პოლარიზაციის გამო, მალე მათ შორის გაძნელდა დიალოგი და ყოველგვარი ურთიერთობა. ხელმძღვანელი ორგანოების არასწორი პოზიციის გამო, რაც საზოგადოების მოთხოვნათა უგულებელყოფაში და იძულებით დაამობებში გამოიხატებოდა, ხალხი გაუცნობიერებლად და უნებურად სულ უფრო შორდებოდა მათ ორიენტაციას და უახლოვდებოდა არაფორმალური ჯგუფების პოზიციას. ყოველივე ამან მალე ხელისუფლების სრული იზოლაცია გამოიწვია, მან დაკარგა საზოგადოების მართვის შესაძლებლობა. ხალხის სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფას მოყვა მიტინგები და სამოქალაქო პროტესტის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა — შიმშილობა.

საბოლოოდ ხელისუფლებისათვის საზოგადოებრივი პროცესები უმართავი გახდა და მან დახმარებისათვის საკავშირო ინსტანციებს მიმართა. თბილისში ამიერკავკასიის ჯარისა და სპეციალური შინაგანი ძალების ნაწილები შემოიყვანეს. არმიის სარდლობა საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს თუმცა დაპირდა, რომ მიტინგს მსხვერპლის გარეშე დაშლიდა, მაგრამ მშვიდობიანი მიტინგი ბარბაროსულად დაარბია და უიარაღო ხალხის ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, რამაც მსოფლიო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. როგორც შემდეგ გამოირკვა, მთელი ეს აქცია თურმე სრულიად უკანონოდ, კონსტიტუციის სრული დარღვევით ჩატარდა.

2. ტრაგედიის უშუალო მომდევნო პერიოდი: 9 აპრილის შემდეგ ჩვენი საზოგადოება გაურკვეველ, არასტაბილურ ვითარებაში აღმოჩნდა. გამოკვლევებმა მართალია აჩვენა, რომ საზოგადოებას არ დაუკარგავს მომავლის რწმენა, მაგრამ ხალხის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ დასახული იმედები და მათი მიღწევის გზები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ზრუნვა ჩვენი საქმიანობის გზებზე, ფიქრისა და განსჯის საგნად უნდა ვაქციოთ. ჩვენს წინაშე მთელი სერიოზულობით დგება საკითხი: რა ვქნათ, რა ვიღონოთ? მაგრამ ამ გაურკვევლობიდან გამოსვლის ნათელი იდეა ჯერჯერობით კიდევ არ არის მონახული. ასეთი ვითარება ჩვეულებრივი მოვლენაა პოლარიზებული საზოგადოებისათვის. უკიდურესი პოზიციებიდან ძნელია კონფლიქტის აღკვეთის გზების მონახვა. არცერთი ის პრობლემა, რომელიც ჩვენი საზოგადოების წინაშე იდგა, ჯერჯერობით ბოლომდე არ გადაჭრილა. საზოგადოებრივი ძალები კვლავ დაქსაქსულია.

3. საზოგადოების განწყობები ზოგიერთი ეროვნული ღირებულების მიმართ: იმისათვის, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზები დაისახოს, საჭიროა კიდევ უფრო ნათლად გაცნობიერდეს ჩვენს საზოგადოებაში შექმნილი ვითარება.

ჩვენი პრობლემების არსებითი განხილვის დროს ნათლად ჩანს, რომ მათი გადაწყვეტისათვის აუცილებელია ისინი ეროვნული საკითხებისა და საქართველოს მომავლის პერსპექტივაში განვიხილოთ.

თბილისის მოსახლეობის გამოკითხვამ, რომელშიც ათი ათასამდე ადამიანი და 15 ექსპერტი მონაწილეობდა, აჩვენა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარს უჭერს გამოკითხულთა 89 პროცენტი. მოცემულ ეტაპზე ამ იდეას მხოლოდ 9 პროცენტი ეწინააღმდეგება. ეს მონაცემი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მომავალი სტატუსის შესახებ საზოგადოების ცნობიერების მთავარ მიმართულებას.

საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი ყოფილი მთავრობისა და ხელმძღვანელობის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა მის მიერ ეროვნული პრობლემების უგულებელყოფამ. საზოგადოების აზრით, ჩვენი მთავრობა არ ემსახურებოდა თავის ხალხს, რადგან იგი არ ემსახურებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ საქმეს, ასე ფიქრობს გამოკითხულთა 71 პროცენტი.

ამავე დროს საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე გამოჩნდნენ არაფორმალური ჯგუფები, რომლებმაც გამოკითხულთა აზრით, ეროვნული საქმეების სამსახური იტვირთეს. ისინი გამოკითხულთა 79 პროცენტის აზრით ქართველი ხალხის კეთილდღეობის საქმეს ემსახურებიან. გამოკითხულთა მხოლოდ 18 პროცენტი არ იზიარებს ამ აზრს. თანდათან ხალხის ცნობიერებაში ჩამოყალიბდა დადებითი დამოკიდებულება არაფორმალური ჯგუფებისადმი და უარყოფითი განწყობა ხელისუფლების მიმართ.

ცნობილია, რომ 9 აპრილის წინა ხანებში უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და არაფორმალებს შორის, რასაც მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები უწყობდა ხელს. ფსიქოლოგიური თავსებადობის კანონების საფუძველზე დადებითად შეფასებულ არაფორმალებთან დაპირისპირებული ხელისუფლება კიდევ უფრო კარგავდა ხალხის სიმპათიას, კიდევ უფრო უარყოფითად ფასდებოდა. ამავე კანონის გამო რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და არაფორმალებს შორის კონფლიქტის გაძლიერებამ, მათი პოზიციების პოლარიზაციამ, კიდევ უფრო გააძლიერა ხალხის დადებითი განწყობა არაფორმალებისადმი და უარყოფითი — ხელისუფლებისადმი. ამრიგად, საზოგადოებაში ხალხს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და არაფორმალებს შორის ურთიერთობის ერთიანი სისტემა შეიქმნა. ჩვეულებრივად ასეთი სისტემების შიგნით კონფლიქტები სულ უფრო ძლიერდება. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ცხადია, ვერ ურიგდებოდა ამ ვითარებას. მას ხელიდან ეცლებოდა ხალხზე ზემოქმედების ძალა და იგი არაფორმალების ხელში გადადიოდა. საზოგადოების შინაგანი ძალების გამოყენებით რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ამ სისტემიდან გამოსვლა და გარე ძალების დახმარებით სცადა მისი დაშლა.

4. საზოგადოების განწყობათა გადანაწილება 9 აპრილის აქციის შემდეგ არაფორმალებისა და მიტინგების მიმართ ხელისუფლების ორგანოებმა უხეში გარეგანი ძალა გამოიყენეს, რასაც ტრაგიკული 9 აპრილი მოჰყვა. მაგრამ მან ვერ გადაწყვიტა ეროვნული პრობლემები. ზემოაღნიშნულ სისტემაში უხეშმა სამხედრო ძალამ ვერ მოშალა ხალხის, ხელისუფლებისა და არაფორმალების ის ურთიერთობა, რაც ადრე ჩამოყალიბდა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ხალხისა და არაფორმალების უარყოფითი დამოკიდებულება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიმართ სამხედრო ძალებზეც გავრცელდა. მკვეთრად შეიცვალა ჩვენი ხალხის დამოკიდებულება არმიის მიმართ. დღეისათვის ჩვენი ხალხის აზრით, საბჭოთა არმიამ დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია. იგი აღარ დგას ჩვენი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. გამოკითხულთა 82 პროცენტის აზრით, ჩვენი არმია ჩვენი ხალხის ინტერესებს აღარ ემსახურება. არმიას ხალხის ინტერესების დამცველად მხოლოდ 15 პროცენტი თვლის. არმიის მიმართ დღეისათვის ხალხს ჩამოუყალიბდა უარყოფითი დამოკიდებულება, რასაც მასთან დაკავშირებული სხვა განწყობებიც ამაგრებენ. მაგალითად, კითხვაზე, თუ რით იყო გამოწვეული 9 აპრილს სამხედროების სისასტიკე, გამოკითხულთა 79 პროცენტი სამხედროების ქართველებისადმი მტრული დამოკიდებულებით ხსნის. ასევე 9 აპრილის ტრაგედიის პასუხისმგებლობას გამოკითხულთა 71 პროცენტი სამხედრო ხელისუფლებას აკისრებს.

9 აპრილის აქციამ ხალხის განწყობაში თავისებური ცვლილებები შეიტანა.

მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის გამოკითხულთა 87 პროცენტი ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს, მაგრამ შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული რწმენა იმისა, რომ ყველა დამნაშავე სამართლიანად დაისჯება. 62 პროცენტს სჯერა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან, 34 პროცენტს კი ეჭვი ეპარება ამაში. ეს ცხადია, ხელს უშლის მდგომარეობის ნორმალიზაციას. საზოგადოების უარყოფით ემოციურ განმუხტვას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ საბჭოთა პრესა, ტელევიზია და რადიო არ იძლევა ობიექტურ ინფორმაციას აპრილის მოვლენების მიმართ. გამოკითხულთა 95 პროცენტი ფიქრობს, რომ საკავშირო პრესა, ტელევიზია და რადიო არ იძლევა სწორ ინფორმაციას 9 აპრილის მოვლენათა შესახებ, რაც თავის მხრივ აძლიერებს ხალხის უარყოფით დამოკიდებულებას ჩვენი ცენტრალური მთავრობისა და ხელისუფლების მიმართ. გამოკითხულთა უფრო ნაკლებმა რაოდენობამ, 61 პროცენტმა გამოთქვა უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს პრესისა, ტელევიზიისა და რადიოს მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში მკვეთრად შეიცვალა საქართველოს პრესისა და რადიოს პოზიცია აპრილში მომხდარი აქციებისადმი და ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა ხალხის დამოკიდებულება მათ მიმართ.

არმიის უსაფუძვლო სისასტიკემ საზოგადოებაში რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები აღძრა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაჩნდა ტენდენცია, მოხდეს მიტინგის ჩამხშობი არმიის, როგორც სოციალური ერთეულის დიფერენციაცია, მისი სხვადასხვა კუთხით განხილვა.

ძალები, რომლებმაც 9 აპრილის მიტინგი დაარბიეს, დაკავშირებული იყვნენ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, რუს ხალხთან, კომუნიზმის, კონსტიტუციური საქმიანობის, გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის იდეებთან. მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ხალხის განწყობები 9 აპრილის შემდეგ ძალიან თავისებურად გადანაწილდა აღნიშნული მოვლენების მიმართ.

თავდაპირველად ჩვენმა მთავრობამ და ხელმძღვანელობამ საქართველოში დაწყებული ეროვნული მოძრაობა, მიტინგები და დემონსტრაციები დაახასიათა როგორც ანტირუსული და ანტიკონსტიტუციური, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ აზრს ხალხი არ იზიარებს. გამოკითხულთა 87 პროცენტი არ ეთანხმება იმ დებულებას, რომ აღნიშნული მიტინგი იყო ანტირუსული, მხოლოდ 5 პროცენტი ფიქრობს, რომ ეს მიტინგი რუსი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. ასევე გამოკითხულთა 80 პროცენტის აზრით აღნიშნული მიტინგი არ იყო ანტიკონსტიტუციური, მხოლოდ 9 პროცენტი დაეთანხმა იმ აზრს, რომ მიტინგი ანტიკონსტიტუციური ხასიათისა იყო. გამოკითხულთა შედეგებში სრულიად გამოკვეთილად ჩანს, რომ 9 აპრილის მიტინგზე ქართველი ხალხის ძირითადი ინტერესების გამოხატვა მოხდა, ამ აზრისაა გამოკითხულთა 86 პროცენტი. ამავე დროს გამოკითხულთა 80 პროცენტი აღნიშნავს, რომ ამ მიტინგებზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს განიხილავდნენ.

მიტინგის ბარბაროსული დარბევა, რომელიც ხალხის აზრით, არც რუსი ხალხისა და არც საბჭოთა კონსტიტუციის მოთხოვნების წინააღმდეგ არ იყო მიმართული, ცხადია, მისი ჩამდენი ინსტანციის მიმართ მკვეთრ უარყოფით განწყობებს გამოიწვევდა. ასეთ ინსტანციად ხალხმა ცენტრალური ხელისუფლება, საქართველოს ხელმძღვანელობა და არმია ჩათვალა.

თბილისში არმიის შემოყვანა, მათი აზრით, გამოწვეული იყო: საბჭოთა ხელისუფლების პოზიციით — 65 პროცენტი, სამხედრო ხელისუფალთა პოზიციით — 53 პროცენტი, და საქართველოს ხელისუფალთა და არაფორმალთა პოზიციის შეურიგებლობით — 34 პროცენტი. ეს მონაცემები მრავალ არაალტერნატიულ კითხვაზე პასუხების შედეგად იყო მიღებული და ამიტომ ისინი მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ასევე ალტერნატიული კითხვების მიხედვით ირკვევა, რომ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის პასუხისმგებლობა, გამოკითხულთა აზრით, უნდა დაეკისროს იმავე ინსტანციებს: ცენტრალური ხელმძღვანელობა დაადანაშაულა 81 პროცენტმა, სამხედრო ხელისუფალნი — 71, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობა — 55 პროცენტმა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დამოკიდებულებათა სისტემური გადანაწილების კანონის საფუძველზე 9 აპრილის აქციამ საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება გაავრცელა საკავშირო ხელისუფლებისა და სამხედრო ძალების მიმართ, გაძლიერდა დადებითი დამოკიდებულება არაფორმალური ჯგუფებისადმი და იგი არ შეეხო რუს ხალხსა და კონსტიტუციურ საქმიანობას. ქართველი ხალხის ეროვნულმა მოძრაობამ არ მიიღო ანტირუსული და ანტიკონსტიტუციური ხასიათი. ჩვენი ხალხის მთავარი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სახით დაკრისტალდა. გამოკითხულთა 89 პროცენტის აზრით საქართველო სამართლიანობის პრინციპზე აგებული, დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა გახდეს. ასეთმა ორიენტაციამ შინაგანად გამორიცხა ანტირუსული და ანტიკონსტიტუციური ტენდენციები. ასეთ განწყობებთან სრულიად თავსებადია ჩვენი ხალხის დადებითი განწყობები დემოკრატიზაციის, საჯაროობისა და გარდაქმნის მიმართ, მათ მიემხრო გამოკითხულთა 79 პროცენტი. 9 აპრილის წინ ჩატარებული მიტინგები ხალხმა გარდაქმნის პროცესების გამოვლენად ჩათვალა.

5. გადასაწყვეტი საკითხების რიგი: ეს ნაწილობრივი სურათიც, რომელიც სოციალურ მოვლენებთან პირველი მიახლოვების შედეგად იხატება, საშუალებას იძლევა გარკვეული დონით გავიგოთ ჩვენი საზოგადოებრივი პროცესების სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურება და გამოვიყენოთ შემდგომ მუშაობაში. უახლოეს ხანში შევეცდებით მოვიტანოთ ჩვენი გამოკვლევის ის შედეგები, რომლებიც ეხებიან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებებს ეროვნული პრობლემების მიმართ და სხვადასხვა ჯგუფის ერთმანეთთან ურთიერთობისა და ერთიმეორეზე ზემოქმედების საკითხებს. ასევე თანამიმდევრულ და მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს იმის გაგება, რატომ დაკარგეს 9 აპრილის შემდეგ მომავლის რწმენა ყველაზე უფრო მუშებმა, სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით და ამავე დროს რატომ ემხრობიან მუშები ყველა სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით საქართველოს სრული დამოუკიდებლობის იდეას, რატომ არ სჯერა ყველაზე უფრო მეტად ინტელიგენციას, რომ 9 აპრილის აქციის დამნაშავეები დაისჯებიან, რატომ არის, რომ ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკებს ყველაზე უფრო ნაკლებად შერყვათ რწმენა არმიის მიმართ. ასევე გასარკვევია, თუ რატომ აფასებს საქართველოს ხელმძღვანელობის მუშაობას ბევრად უფრო უარყოფითად ინტელიგენცია, ვიდრე ახალგაზრდობა, თუმცა ეს უკანასკნელი საზოგადოდ უფრო კრიტიკულად არის განწყობილი ყველაფრის მიმართ, და სხვა. მოპოვებული მასალის საფუძველზე დგება რამდენიმე ათეული პრობლემა, რომლის სისტემატური განხილვა ძალიან ღრმად შეგვიყვანს ჩვენი საზოგადოებრივი პროცესების გაგებაში.

როგორც ვხედავთ, ჩვენი საზოგადოების წინაშე მრავალი პრობლემა დგას. მის გადაწყვეტაში საზოგადოების ყველა ფენამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ასეთი მუშაობა წარმატებით შეიძლება გაიშალოს, რადგან გამოკითხულთა 61 პროცენტს სულაც არ დაუკარგავს მომავლის რწმენა.

6. მოწოდება დაწყნარების შესახებ: ჩვენში, ძირითადად უფროსი თაობის მხრიდან, ხშირად გაისმის მოწოდება ახალგაზრდობისადმი, რომ ისინი დაწყნარდნენ, მოუსმონ ჭკუას, ნუღარ მოაწყობენ მიტინგებს, რადგან ახლა ამის დრო აღარ არის. მაგრამ „სახლში წასვლა" და დაწყნარება ხელუხლებლად ტოვებს ყველა იმ პრობლემას, რის გამოც მოხდა აპრილის ტრაგედია. კიდევ მეტიც, ჩვენს ხალხს გაუჩნდა ახალი პრობლემები საკავშირო ხელისუფლების, ცენტრალური პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მიმართ, გაურკვეველი გახდა ჩვენი ხალხის დამოკიდებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხების, სახალხო ფრონტის, ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოებისა და სხვათა მიმართ. გაურკვეველი პრობლემები, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები, თვითონ იწვევენ საზოგადოების აქტიურობის იმპულსებს, მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების მოთხოვნილებებს. ვიდრე ჩვენი საზოგადოება საბოლოოდ არ ჩამოაყალიბებს მოქმედების მიზანდასახულ პროგრამას, ძნელია თავიდან ავიცილოთ სტიქიური მოძრაობები. მითუმეტეს, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში ხდება ანტიქართული აქციები. ასეთ პირობებში დაწყნარების, დაფიქრების და „სახლში წასვლის" მოწოდებებს არ შეუძლიათ იმპულსური დემონსტრაციებისა და მიტინგების შეჩერება. საჭიროა პოზიტიური სამოქმედო პროგრამის შემუშავება, რასაც უნდა მოხმარდეს საზოგადოების ძალები.

7. მოწოდება კონსოლიდაციის შესახებ: ჩვენში ასევე ხშირად გაისმის მოწოდება საზოგადოების ძალების კონსოლიდაციისაკენ. აღსანიშნავია, რომ არც ამ მოწოდებას მოსდევს რაიმე ხელშესახები შედეგი, რადგან ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია ისეთი სამოქმედო პროგრამა და პოზიცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი ძალების გაერთიანება. საქართველოს ხელისუფლება ადრეც მოუწოდებდა ხალხს იმ პოზიციის გარშემო შეკავშირებისაკენ, რომელიც მან შეიმუშავა. ასეთ კოორდინაციაზე ხალხი არ დათანხმდა, რადგან ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას არ იძლეოდა. თავისი პოზიციის თვალსაზრისით კონსოლიდაციისაკენ ხალხს არაფორმალებიც მოუწოდებდნენ. დიდი სიმპატიების მიუხედავად, ვერც მათი პოზიციების გარშემო გაერთიანებით შესძლო საზოგადოებამ ეროვნული პრობლემების გადაჭრა. გარდა იმისა, რომ არაფორმალებს შორის შეხედულებათა დიდი სხვაობა არსებობს, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი აღნიშნავდა, მათ მოქმედების არარეალისტური გზა აქვთ არჩეული. უკანასკნელ ხანებში შემოქმედებითმა ინტელიგენციამ დიდი საზოგადოებრივი აქტიურობა გამოიჩინა, მაგრამ არც მას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული თავისი საკუთარი პოზიცია ჩვენი ქვეყნის ეროვნული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ. ყოველ შემთხვევაში ის საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის, ამიტომ მოწოდებას საზოგადოების ძალების კონსოლიდაციისაკენ ჯერჯერობით არ მოჰყვა სასურველი შედეგი.

8. დღევანდელი ხელმძღვანელობის შესახებ: ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა აპრილის ტრაგედიამდე ანტიხალხურ და ანტიეროვნულ საქმიანობას ეწეოდა. მან დაკარგა ხალხთან კონტაქტი, მოახდინა თვითიზოლაცია, დაუპირისპირდა საზოგადოებას და გამოიწვია ხალხის მღელვარება. მერე კი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საზოგადოების შინაგანი ძალების გამოყენების მაგიერ, გარეშე ძალებს მიმართა დახმარებისათვის, რასაც ტრაგედია მოჰყვა.

საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები დღეს უკვე ეროვნულ საქმიანობას ეწევიან, მაგრამ საზოგადოება მათგან მოითხოვს მეტ კონტაქტებს ხალხთან და არაფორმალებთან, ანტიქართული აქციების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას. მართლაც, თუ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არა, მაშ ვინ უნდა იზრუნოს, რომ საქართველოს მოთხოვნები გაითვალისწინოს ცენტრალურმა მთავრობამ და ხელისუფლებამ, რომლის არასწორ დამოკიდებულებას ჩვენში მიმდინარე პროცესების მიმართ ხალხი მტკივნეულად განიცდის.

ჩვენი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის მეთაურობით უნდა ხორციელდებოდეს ბრძოლა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის. მისი თაოსნობით უნდა იქცეს ჩვენში ქართული ენა ნამდვილ სახელმწიფო ენად.

ჩვენში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების გამო საქართველოში ქართველები შეიძლება მალე უმცირესობად იქცნენ. ამას ალბათ ხელს შეუწყობს ერების ინტეგრაციის ის პროცესებიც, რაც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ძალებს ძლიერი ცენტრის საფუძველზე უნდათ განახორციელონ. ზოგიერთის აზრით, ერთა ინტეგრაციის გონივრულობაზე ევროპის ქვეყნებში აღმოცენებული ინტეგრაციის ტენდენციაც მიუთითებს. მაგრამ საეჭვოა, რომ საბჭოთა კავშირში ერების შემდგომ ინტეგრაციამ იგივე ფუნქცია შეასრულოს, რასაც იგი ევროპის ქვეყნების ურთიერთობაში ასრულებს. ცნობილია, რომ ევროპაში ეროვნული თვალსაზრისით უკვე საკმაოდ დიფერენცირებული და ჩამოყალიბებული ქვეყნების ინტეგრაცია ხდება. ცხადია, დღეს უკვე შეუძლებელია ფრანგი ხალხის გაგერმანელება ან იტალიელების გაინგლისელება. მათი ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება ეროვნულად დიფერენცირებული ქვეყნების ინტეგრაციაა. ამას მათთვის, ყველასათვის, მეტნაკლებად მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია. საბჭოთა რესპუბლიკები ეროვნული თვალსაზრისით იმდენად არ არიან დიფერენცირებული და დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბებული, რომ რუსეთთან შემდგომი ინტეგრაციის პირობებში შესძლონ თავისი ეროვნულობის შენარჩუნება. თუ საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ცენტრით იქნება გაშუალებული და ურთიერთობა როგორც ცენტრთან, ისე სხვა რესპუბლიკებთან რუსულ ენაზე იწარმოებს, ინტეგრაციის ყოველი გაძლიერება თავისთავად გამოიწვევს რესპუბლიკების ასიმილაციას. ეს შედეგი გამოწვეული იქნება არა რუსი ხალხის ან მისი ცალკეული მოღვაწეების ცნობიერი სურვილით, ან განზრახვით, არამედ რესპუბლიკათა მაინტეგრირებელი სტრუქტურით. ეს საშიშროება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რუსული ენა და კულტურა მოახდენს სომხური, ესტონური ან ქართული ენისა და კულტურის ასიმილაციას, არამედ იმაში, რომ ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხი გარუსდება და მათი ენები და კულტურები მოკვდება. დღეს მრავალი მკვდარი ენაა, რომელზეც აღარავინ აღარ ლაპარაკობს, თავისი შინაგანი კანონების მიხედვით აღარ ვითარდება და არ ახდენს მისთვის შესატყვის კულტურის შემდგომ განვითარებას. ასიმილაციის ასეთი საშიშროების წინაშე უპირველეს ყოვლისა მცირე ერები დგანან. ამაზე ნათლად მიუთითებს ჩრდილო კავკასიის, აფხაზეთის და ზოგიერთი შუა აზიის რესპუბლიკის ხალხების მდგომარეობა, რომლებისათვისაც დედა ენის ადგილს თანდათან რუსული ენა იკავებს. ამ ხალხს სერიოზული დახმარება სჭირდებათ. ჰუმანური და გონივრული იქნებოდა ისეთი პოლიტიკა, რაც ამ ხალხისათვის მათ ენებს დედა ენის ფუნქციას დაუბრუნებდა, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ამ ხალხების უნიკალურ კულტურათა შემდგომი გაღრმავება-განვითარება.

თუ აღნიშნულ საკითხს ფართო მასშტაბით შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ შემდგომი დიფერენცირებისა და გაღრმავების ამოცანები რუსული ენისა და კულტურის წინაშეც დგას. საურთიერთობო ფუნქციის გაძლიერებისა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების მიერ ხშირად ხმარების გამო, გაჩნდა ერთგვარი საშიშროება რუსული ენისა და კულტურის სიღრმისეული ფენების შემდგომი განვითარების შეფერხებისა. სხვა საკითხებთან ერთად, გაუცნობიერებლად, ასეთი ტენდენციები აწუხებდათ ვ. რასპუტინსა და რუსული კულტურის სხვა მოღვაწეებს, როდესაც რამდენადმე არასერიოზულ ფორმაში საბჭოთა კავშირიდან რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის გამოყოფის საკითხი დააყენეს. ასეთი მოტივები რუსეთის ყოფამ და კულტურის მდგომარეობამ წამოჭრა და მათი გადაჭრა სხვა რესპუბლიკებთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობებშია შესაძლებელი.

აღნიშნული საკითხები საბჭოთა ხალხების წინაშე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნდა დააყენოს და მათი ასეთი სახით გადაჭრაზე იზრუნოს, რაც ხელს შეუწყობს სხვა ერებთან ერთად ჩვენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური კულტურის შემდგომ განვითარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გამოკვლევა შესაძლებელია სწორად ვერ ასახავდეს ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ სოციალურ-ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ ვითარებას, რადგან მასში წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრებითა და განწყობებით ჩვენი საზოგადოება მაისის მეორე ნახევრამდე ხასიათდებოდა. ასეთი განწყობები, მართალია, დიდი მდგრადობით გამოირჩევიან, მაგრამ ისინი მძაფრი სოციალური პროცესების დროს შედარებით სწრაფად იცვლებიან. მაისის მეორე ნახევრიდან კი საქართველოს სამხრეთ რაიონებში და აფხაზეთში აღინიშნა მწვავე სოციალური პროცესები. ამავე პერიოდში ჩატარდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ ბოლო დროს ჩვენში დაძაბული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად საგულისხმო ღონისძიებები ჩაატარა, ყოველივე ამან სავარაუდოა, რომ გარკვეული გავლენა მოახდინა ჩვენი საზოგადოების განწყობებზე ძირითადი სოციალური ღირებულებების მიმართ, მაგრამ მათ შესახებ მეცნიერული მსჯელობა მხოლოდ ახალი გამოკვლევების საფუძველზეა შესაძლებელი. სექტემბერში ვაპირებთ ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის ჩატარებას და არსებული ცვლილებების შესახებ სექტემბრის ბოლოსათვის გვექნება ლაპარაკი.

შედეგები, რომელთაც ახლა ვიხილავთ, მაისის ბოლოს შეიძლებოდა გამოგვექვეყნებინა, მაგრამ ეს საქმე 9 აპრილის მოვლენათა ყოველმხრივი გამოკვლევის დასრულებამდე არ ღირდა, მათი გათვალისწინების გარეშე ხომ შეუძლებელია სწორი საზოგადოებრივი მუშაობა.

9. არაფორმალების შესახებ: აპრილის სისხლიანი აქციის მიმართ თავისი აღშფოთების გამოხატვის დროს ხალხი მოითხოვდა არაფორმალების დაკავებული ლიდერების განთავისუფლებას. ხელმძღვანელმა ორგანოებმა ეს სამართლიანი მოთხოვნა დააკმაყოფილეს. სისხლიანი რბევის მოწყობაში, ცხადია, არაფორმალები არ იყვნენ დამნაშავეები. არაფორმალური ჯგუფების ლიდერების დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მათ შეხედულებებს ხალხი სიმპათიით ხვდებოდა. როგორც გამოკითხვამაც გვიჩვენა, დანაშაული ხელისუფლების ორგანოებმა და სამხედრო ძალებმა ჩაიდინეს.

არაფორმალური ჯგუფების ლიდერებმა ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებისათვის დიდი შრომა გასწიეს. მათი ორიენტაცია დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, რადგან ის არსებითად შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს, გარდაქმნისა და საჯაროობის მოთხოვნებს. არაფორმალების გავლენით ბევრ მოვლენას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავისი სახელი დაერქვა და სწორად შეფასდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არაფორმალურ ჯგუფებს სწორი და კეთილშობილური სტრატეგიული ამოცანების გვერდით, ასევე ნათლად ჩამოყალიბებული უახლოესი და რეალური ამოცანები არა ჰქონდათ. ისინი დიდ ძალას წარმოადგენდნენ, დიდ გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ამიტომ ძალიან სამწუხაროა, რომ წინასწარ შემუშავებული გონივრული და რეალური პროგრამის გარეშე მოქმედებდნენ. ბალტიისპირეთის რესპუბლიკაში ეროვნული მოძრაობის გონივრულ წარმართვაში არაფორმალურმა ჯგუფებმა ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს. ჩვენმა არაფორმალებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პროგრამის შემუშავების საქმეში. მხოლოდ ასეთი ამოცანებით მოქმედების დროს შეიძლება დარჩნენ ისინი ეროვნული საკითხების დამყენებელ ინსტანციად. ასეთი ამოცანების შესრულება მათ ევალებათ, რადგან სწორედ მათ გარემოში ითვლება ქვეყნის ეროვნულ მდგომარეობაზე ზრუნვა ყველაზე დიდ ღირებულ საქმიანობად. თუ ეს ასე იქნება, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა მოუსმენს მათ, კონტაქტს დაამყარებს მათთან, მათთან ერთად ეცდება ქვეყნის მტკივნეული პრობლემების გადაწყვეტას, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შესძლებენ ისინი შემდგომშიც წვლილის შეტანას ჩვენი ქვეყნის სულიერ ზრდაში.

10. ინტელიგენციის შესახებ: ჩვენს საზოგადოებაში შექმნილი მძიმე ვითარებისათვის ხშირად ინტელიგენციას ადანაშაულებენ, თითქოს მისმა პასიურობამ და უმოქმედობამ შექმნა პირობები ტრაგიკული ამბებისათვის. უფრო მეტიც, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმოცენებული მრავალი სიძნელის სათავეს ხშირად ინტელიგენციის საქმიანობას თვლიდა. სიძნელეების ინტელიგენციისათვის გადაბრალება, მშრომელთა და ინტელიგენციის დაპირისპირება ხელისუფლების მიერ თავის გამართლების ჩვეულ ფანდად იქცა. ამავე დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბევრ რამეს აკეთებდა იმისათვის, რომ ინტელიგენცია ჩამოეშორებინა საზოგადოებრივი პროცესების მართვისაგან. ხელისუფლების მხრიდან ასეთ მოქმედებას ინტელიგენცია სხვადასხვაგვარად პასუხობდა: შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთმა ფენამ თავისი საქმიანობა პარტიის ხელმძღვანელების განდიდებას დაუქვემდებარა, მეორე ფენა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან წავიდა და მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობით ემსახურებოდა თავისი ქვეყნის ინტერესებს. ინტელიგენციის უფრო მცირე ნაწილმა, მესამე ფენამ აქტიური ბრძოლა დაიწყო პარტიის ხელმძღვანელთა ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული საქმიანობის წინააღმდეგ. სწორედ ძირითადად ინტელიგენციის წრიდან გამოვიდნენ არაფორმალური ჯგუფების მოღვაწეები, რომლებმაც ეროვნული ღირებულებების დაცვა გაიხადეს თავის მთავარ საქმიანობად. ამ საქმეში მათ სტუდენტობამ და ახალგაზრდობამ აუბა მხარი.

ინტელიგენციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აღძრა პირველმა და მესამე ფენამ, რომლებმაც თავისი ძირითადი ფუნქცია, კულტურის შექმნა დაივიწყა. მაგრამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი, ძნელი პირობების მიუხედავად, მაინც ახერხებდა თავისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლების მეცადინეობით შესაძლებელი გახდა კულტურის ეროვნული სულის შენარჩუნება და განვითარება. ინტელიგენციის შეფასება ამ თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს და არა მისთვის შეუსატყვისი საქმიანობით, რომელიც მისი წარმომადგენლების ფართო წრემ იძულებით მიიღო. მათ ამის გამო დაკარგეს კიდევაც ინტელიგენტობა. დღეს შეიძლება იმით დავიმშვიდოთ თავი, რომ ღვთის წყალობით, ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში ფეხს იკიდებს შეხედულება, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ადამიანები თავისი ძირითადი პროფესიის მიხედვით უნდა შეფასდნენ, პროფესიონალიზმი პრესტიჟული გახდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის კრიზისული ვითარების დროს მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვა ყველაზე მეტად ინტელიგენციას ევალება. ასეც მოხდა, ჩვენი საზოგადოების კონფლიქტური მდგომარეობის გამოსწორების საქმეში ყველაზე უფრო ენერგიულად ინტელიგენცია ჩაება. მისი გავლენით შეფასდა აპრილის აქცია როგორც ხალხის სამართლიანი გამოსვლების უსამართლო და დანაშაულებრივი დარბევა. როგორც დღეს ირკვევა, სულაც არ იყო გამორიცხული, რომ აპრილის სახალხო მოძრაობა შეფასებულიყო როგორც დამნაშავე ელემენტების, ნარკომანებისა და ხულიგნების ანტისაზოგადოებრივი გამოსვლა. ასეთ შემთხვევაში მისი ჩახშობა ოფიციალურად შეფასდებოდა როგორც სამართლიანი აქცია, რაც თითქოს კანონის და წესრიგის დაცვას ემსახურებოდა. სწორედ ასე შეფასდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში ჩადენილი უხეში რეპრესიები, რაც ხალხის სამართლიანი მოთხოვნების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩვენშიც ბევრჯერ აღინიშნა ხელისუფლების ორგანოების მიერ წესრიგის დაცვის ასეთი სამარცხვინო შემთხვევები.

დღესაც საზოგადოების დაძაბული ცხოვრების პირობებში ინტელიგენციამ აიღო ხელში ინიციატივა ხალხის სხვადასხვა ფენის შეკავშირებისა და მათი ერთიანი მოქმედების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით აქტიურობა ინტელიგენციამ უკვე 9 აპრილის მეორე დღიდანვე დაიწყო. მან ყურადღება გაამახვილა მძიმე ეროვნული და სოციალური პირობების მიზეზებზე, მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე.

ეროვნული პრობლემების გონივრული გადაწყვეტის საქმეში ჩვენმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ დიდი როლი უნდა შეასრულოს. ამ მიმართულებით აქტიურობა აუცილებლად უნდა განხორციელდეს მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეხვდებიან ამას არაფორმალები თუ ხელისუფლების წარმომადგენლები. ინტელიგენცია ვალდებულია დამოუკიდებლად და სხვა ძალების პარალელურად იღვაწოს ეროვნული პროცესების სწორი გზით წარმართვისათვის. დღეს, ისე როგორც არასდროს, ჩვენ ინტელექტუალურ-საზოგადოებრივი აქტიურობა გვჭირდება. არც უმოქმედობასა და არც ძალადობას არ შეუძლია ჩვენი საზოგადოების გამოყვანა მძიმე კონფლიქტური მდგომარეობიდან. საჭიროა დასახული იქნეს ჩვენი უახლოესი და შორეული მიზნები, საჭიროა მოინახოს რეალური გზები მათი მიღწევისა. ამ ამოცანების შესრულების დროს ინტელიგენცია უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი დიქტატისაგან.

11. სადღეისო ძირითადი სოციალურ-ფსიქოლოგიური და ადმინისტრაციული ამოცანები: შექმნილ ვითარებაში საჭიროა საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობამ შექმნას არაფორმალებთან და ხალხთან დიალოგის სპეციალური სამსახური. მან თავისი მუშაობის პროცესში პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით უნდა შეიმუშაოს ხელმძღვანელი ორგანოების, ხალხისა და არაფორმალების ურთიერთობისა და ურთიერთზემოქმედების ფორმები, რომლებიც გამოიყვანენ საზოგადოებას დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ჩვენმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. ჩვენი საზოგადოების ძალთა კონსოლიდაციის პროცესში ასევე დიდი როლის შესრულება შეუძლია სახალხო ფრონტსაც, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

დღეისათვის, ჩვენს რესპუბლიკაში მუშავდება ლეგალური და რეალური ეროვნული პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უახლოესი და მომავალი ამოცანები. საზოგადოების ყოველმა ჯგუფმა უნდა იზრუნოს ამ მიმართულებით თავისი პოზიციის ბოლომდე გასააზრებლად. განსხვავებული შეხედულების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება უნდა გახდეს ჩვენი ეროვნული კონსოლიდაციის პირობა. საშუალება მივცეთ ერთმანეთს, რომ სამართლიანობისა და მორალის ფარგლებში ყველამ თავისი ორიენტაციისა და რწმენის შესატყვისად იშრომოს ჩვენი სამშობლოს წინაშე მდგომი პრობლემების გადასაწყვეტად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გზით შეიძლება დამკვიდრდეს პლურალიზმი და დემოკრატია. ვეცადოთ გავხდეთ უფრო მეტად ჰუმანურნი, მეტად დემოკრატიულნი, მეტად ქართველნი.

შოთა ნადირაშვილი,
9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის წევრი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური საკთხების კვლევის ქვეკომისიის თავმჯდომარე, მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თამაზ ნონიაშვილი,
ქვეკომისიის წევრი, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

მარინე ბალიაშვილი,
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

ზურაბ ბიგვავა,
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

ამირან გრიგოლავა,
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

საქდესი იუწყება

უცხოეთში

— 2 სექტემბერი

● აშშ-სსრ კავშირი

მიწოდება გაფართოვდება

ნიუ-იორკი. ამერიკის კომპანიებს დაგეგმილი აქვთ არსებითად გააფართოონ სსრ კავშირში სამედიცინო მოწყობილობის მიწოდება, იუწყება გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერს ენდ კომერშლი". ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს შეფასებით, 1991 წელს ამ მიწოდების მოცულობამ შეიძლება 32-50 მილიონ დოლარს მიაღწიოს.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ასეთი კონტაქტების განვითარება შესაძლებელი გახდა ექსპორტისადმი კონტროლის ლიბერალიზაციისა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების მეოხებით. გარდა ამისა, წერს იგი, საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით აღჭურვა ახლანდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის „უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი" გახდა. „საბჭოთა კავშირში საქმიანი ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებულ სიძნელეთა მიუხედავად, — წერს „ჯორნელ ოფ კომერს ენდ კომერშლი", — ამ დარგში რეალური პერსპექტივები არსებობს".

სოვეტოლოგის აზრით

ნიუ-იორკი. „ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილი ვითარება ორივე მხარის ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, — განაცხადა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული ჰარიმანის საბჭოთა კავშირის პერსპექტიული შესწავლის ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა მარშალ შულმანმა.— უბრალოდ წარმატება იქნება, თუ სიტუაცია კონტროლს არ ასცდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ბალტიისპირელ ნაციონალისტებზეც და საბჭოთა მთავრობაზეც. მეორე მწვავე პრობლემაა ბალტიისპირეთისა და მოლდავეთის რუსულენოვანი მოსახლეობის მდგომარეობა. იგი, უეჭველია, განაგრძობს გაფიცვებს, თუ ახალი კანონები ენისა და არჩევნების შესახებ შელახავენ მათ უფლებებს. იმისათვის, რომ მოისპოს აფეთქებასაშიში სიტუაცია, დაინტერესებული მხარეები კომპრომისს უნდა ეცადონ. ბალტიისპირეთის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი განცხადების შესახებ ამერიკის პრესის მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ეს დოკუმენტი ღიად ტოვებს კომპრომისის შესაძლებლობას".

● პანამა

დროებითი პრეზიდენტი

პანამა. პანამის ახალ დროებით პრეზიდენტად დაინიშნა თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ქვეყნის ყოფილი გენერალური კონტროლიორი ფრანსისკო როდრიგესი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო თავის სხდომაზე რესპუბლიკის სახელმწიფო გენერალურმა საბჭომ, რომელიც წარმომადგენლობს მთავრობის წრეებს, ეროვნული თავდაცვის ძალებსა და ეროვნული დემოკრატიული კავშირის პროგრესული ნაციონალისტური და მემარცხენე ძალების ბლოკს.

სხდომის დამთავრების შემდეგ ფ. როდრიგესმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც დაადასტურა, რომ წინა მთავრობის პოლიტიკის ერთგულია და განაცხადა, რომ მზად არის ყოველი ღონე იხმაროს ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

● საფრანგეთი

აპირებენ ჯარის გამოყვანას

პარიზი. ლიბიასა და ჩადს შორის სასაზღვრო დავის მოწესრიგების თაობაზე შეთანხმების დადების შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში განიხილავენ ჩადიდან საფრანგეთის ჯარის კონტინგენტის გამოწვევის შესაძლებლობას.

ჩადიდან ჯარების გამოყვანის გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, განაცხადა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ჟან-პიერ შევენმანმა საფრანგეთის ტელევიზიის მეხუთე პროგრამისათვის მიცემულ ინტერვიუში. „ჯერ უნდა მოვეთათბიროთ ჩადის ხელისუფალთ", — თქვა მან.

უფრო ადრე „ევროპა-1" რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა როლან დიუმამ გამოთქვა აზრი, არ არის აუცილებელი ჩადში ესოდენ მნიშვნელოვანი ძალები გვყავდესო.

ღვაწლი

აუწონელი ლარით დაუნჯებული ზარდახშა

ანდრია აფაქიძე 75 წლისაა

„...არმაზს მიაღწიეს თუ არა, უფრო გაავდა ისედაც უჟმური ამინდი. მტკვარს ამოყოლილმა ქარმა იძალა და სადღაც სისამორასთან დაწყებული მერეხი მოიყოლა. დამეწყრილივით იდგა ეპიტროპი იოდმანგან. ვერ გრძნობდა წვიმასა და სიცივეს. ქსეფარნუგ მეფის ძლევამოსილ და მრავალი გამარჯვების მომპოვებელ ეზოს მოძღვარს, პიტიახშ აგრიპას ძეს, სატევრის ვადაზე ჩამოეყრდნო პართიელებთან ბრძოლაში დაშუბული, ჯერაც მესუდრული მარჯვენა და გამტკნარებული დასცქეროდა ვერცხლისფეხებიან სარეცელზე დასვენებულ მეუღლეს. მოირებს ვერაფერი დაეკლოთ სერაფიტის მშვენიერებისათვის. ინვა იბერიის მიმქრალი შროშანი და წვიმა ზეცის ცრემლებად ელვრებოდა გაცრეცილ სახეზე.

— ვაება ვაებისა! — გოდებდნენ ერთადერთი ასულის დაკარგვით მხრებგადრეკილი ზევახ, მცირე პიტიახში ფარსმან მეფისა და ზარდაცემული მეუღლე მისი კარპაკ.

და მათთან ერთად იგლოვდა ყოველი ზეპური და მდაბიო ერი მცხეთისა, რამეთუ იმდენად კეთილ და მშვენიერ იყო სერაფიტი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა...

ქარმა წვიმა მინას მიახალა და პროფესორი ფიქრისგან გამოარკვია.

„მე სერაფიტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა..." — გვამცნობს ეპიტაფია-ბილინგვა. მაგრამ არმაზის სამარხებში კიდევ რამდენჯერმეა ნახსენები ზევარ-ჯავახი. მაგალითად, ასპარუგ პიტიახშის ძვალშესალაგში მიკვლეულ ქალ-ვაჟის გამოსახულებიანი გემაზე — „ზევახი სიცოცხლე ჩემი კარპაკი". აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ვარაუდობდა, ზევახი და კარპაკი ასპარუგის მშობლები იყვნენო. აკადემიკოს გიორგი წერეთელს შეუძლებლად არ მიაჩნდა გემასა და ბილინგვის ზევახის იდენტურობა, ოღონდ... თუ ზევახი ასპარუგის მამა არ იქნებოდა, სხვაგვარად ქრონოლოგია დაირღვეოდა: სამარხი, რომელშიც ზევახ-კარპაკის გემა აღმოჩნდა და ბილინგვა დაახლოებით ერთი პერიოდისაა — ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის შუა ხანების ან მეორე ნახევრისა. ნავარაუდევი ზევახ-ასპარუგ-სერაფიტის გენეალოგიური ხაზი კი რამდენიმე ათწლეულით მაინც უნდა აშორებდეთ მათ ერთმანეთისაგან.

იქნებ ზევახი და კარპაკი ასპარუგის მშობლები კი არა, ვაჟი და რძალი არიან და გემაზე წრიული წარწერა უნდა იკითხებოდეს არა ორად განყვეტილად: „ზევახი — სიცოცხლე ჩემი, კარპაკი", არამედ გაბმულად: „კარპაკი, ზევახი — სიცოცხლე ჩემი". ე. ი. არა როგორც მიძღვნა ცოლისა ქმრისადმი, არამედ მამისა შვილებისადმი. ხომ ბუნებრივია, მამას საყვარელი ვაჟისა და რძლის გამოსახულება ეტარებინა! მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გემას წარწერაში მოხსენიებული ზევახი სწორედ ბილინგვის „ფარსმან მეფის პიტიახში", ე. ი. ზევახ მცირეა, ანუ კარპაკის პირისპირ ზევახ მცირეა გამოსახული, მამა მშვენიერი სერაფიტისა, ამ გზით ასპარუგიც როგორღაც ფარსმან მეფის ხაზს დაუკავშირდება;, ასპარუგის ვაჟი ზევახ მცირე იყო ფარსმან მეფის პიტიახში და დამტკიცდება ერისთაობა-პიტიახშობის მემკვიდრეობითი ხასიათიც — ერისთავ ასპარუგის ვაჟი ზევახ მცირეც ერისთავია...

ვერ გეტყვით, ზუსტად ასეთი იყო თუ არა ბატონ ანდრიას აზრთა მდინარება, როდესაც მცხეთის მრავალთაგან კიდევ ერთ თავსატეხს ხსნიდა, მაგრამ მსგავსი დედუქციური მსჯელობანი იმდენად უხვად აქვს თავის ნაშრომებში, რომ გვჯერა, წარსულის ამ კონკრეტული მონაკვეთის რეკონსტრუქციის მისეული — რეალური და ჩვენს მიერ წარმოსახული მოდელები საკმაოდ სინქრონულია.

არქეოლოგიური აღმოჩენების ისტორია კატორღული შრომის, მეცნიერული თავგანწირვის, ლოგიკური მიხვედრებისა და წინასწარ გააზრებულ მიგნებათა მთელი ჯაჭვია.

ანდრია აფაქიძის ცხოვრებაში დიახაც მრავლად იყო რომანტიკული აღმოჩენებიცა და მასთან დაკავშირებული თავგადასავლებიც (თუნდაც სკაფანდრის მორგება და ნაქალაქარის მოსაჩხრეკად პოსეიდონის საუფლოში ჩასვლა რად ღირს!). მაგრამ ეს რომანტიკად და თავგადასავლად შორიდან დამკვირვებლისთვის ჩანს, მისთვის კი მეცნიერული ყოველდღიურობაა, ბრძოლაა ერის ისტორიის დიდი მოზაიკური პანოსთვის თუნდაც ერთი კენჭის შესამატებლად. აკი თქვა დიდმა მკვლევარმა ვულიმ, არქეოლოგისათვის ახალი ცნობების შეძენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელოვნების ახალი ნიმუშების აღმოჩენა.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფელ ზანაში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძველი ისტორიის სპეციალობით, 1941 წელს ქართველ მეცნიერთა შორის პირველმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია არქეოლოგიაში, ხოლო 1959 წელს, ასევე პირველმა — სადოქტორო დისერტაცია. იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. 1967 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წელს — ნამდვილ წევრად. დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია. ქართულ, რუსულ თუ ევროპულ ენებზე გამოქვეყნებული 100-მდე მეცნიერული ნაშრომის, მონოგრაფიისა თუ სტატიის ავტორია, საქართველოს სსრ სახელმწიფო და ს. ჯანაშიას სახელობის პრემიების ლაურეატია.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც პროფესორმა გიორგი ნიორაძემ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ჩართო უმცროს მეცნიერ მუშაკად. შემდეგ — მცხეთა თავისი სენსაციური აღმოჩენებით... აქ გაიცნო თავისი დიდ მასწავლებლები ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია, რომლებმაც საბოლოოდ განსაზღვრეს ჭაბუკი მკვლევარის მომავალი. სწორედ იქ, მცხეთის ექსპედიციაში შეიკრა ახალგაზრდა არქეოლოგთა ბირთვი ალექსანდრე კალანდაძის, გიორგი ლომთათიძის, გერმანე გობეჯიშვილისა და ანდრია აფაქიძის სახით, რომელმაც შემდეგ თავს იდო ქართული არქეოლოგიის განვითარების მძიმე და საპატიო გზა.

სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა არმაზისხევის, ბაგინეთის, წინამურის, სარკინესა და მთაქართლის არქეოლოგიურ გათხრებს. მის სახელთან არის დაკავშირებული ბრწყინვალე ძეგლების აღმოჩენა მცხეთის შიგა ციხის — ბაგინეთის (კლასიკური წყაროების ჰარმოზიკეს) ტერიტორიაზე და ჰარმოზიკეს მეცნიერული ლოკალიზაცია — სამი სხვადასხვა დროის ნაქალაქარი ფენის დადგენა, რის შედეგადაც საბჭოთა არქეოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრდა არმაზციხე I, არმაზციხე II და არმაზციხე III.

ასევე მნიშვნელოვანი შედეგებით დასრულდა ბატონ ანდრიას მეთაურობით განხორციელებული ძიებანი წინამურის მიდამოებში, რის შედეგადაც აღმოჩნდა" კლასიკურ წყაროთა სისამორა (სევსამორა).

ეს იყო დაუვიწყარი და ამაღლებელი წლები არქეოლოგიაში — ერთი მეორეს მოჰყვა გახმაურებული აღმოჩენები, მიწამ მკერდი გადაიხსნა და გამოამზეურა გასაოცარი ოსტატობით შესრულებული ანტიკური ქართლის ერისთავთა ინსიგნიები და გლიპტიკური ძეგლები. საქართველოს ისტორიას ემატება ახალი სახელები..

ა. აფაქიძემ მის მიერ ჩატარებული საველე სამუშაოებითა და მოპოვებული მასალის ანალიზით, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების მოშველიებით, ახლებურად გააშუქა საქართველოს ძველი ისტორიის, სოციალური ყოფის, ინტელექტუალური ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის განვითარების მრავალი პრობლემა, საფუძველი შექმნა საქართველოში ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ჩასახვა-განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი ქართული ვრცელი მონოგრაფიის შესაქმნელად.

ეს ნაშრომი არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ ანტიკური ქალაქების ისტორიის მკვლევართათვის სამაგიდო წიგნად იქცა.

ქართული კულტურისა და ხელოვნების, ანტიკური პერიოდის საქალაქო ცხოვრების ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონ ანდრიას აღმოჩენებს ანტიკური ხანის ცნობილ სტრატეგიულ და სავაჭრო პუნქტში — ბიჭვინთაში. მან თვალსაჩინოდ წარმოადგინა ამ ძველი ქართული, ზღვის სანაპირო ქალაქის ცხოვრება და გაამდიდრა მანამდე ჩვენი საისტორიო მეცნიერების ხელთ არსებულ წერილობით წყაროთა მეტისმეტად მწირი ცნობები. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბიჭვინთაში მიკვლეულმა დიდებულმა მოზაიკამ დიდი ხანია სპეციალისტთა ფართო ყურადღება და ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ბიჭვინთის გათხრებმა იმის მეცნიერული საფუძველი შექმნა, რომ ეს ცნობილი ქალაქი იმ პერიოდის ადგილობრივი, უძველესი მოსახლეობის საფუძველზე წარმოქმნილ საქალაქო ცენტრად ჩაითვალოს და არა ბერძენ კოლონიზატორთა მიერ დაარსებულად, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ქალაქების გენეზისის პრობლემის გასაშუქებლად.

ცალკე საუბრის თემაა მისი გასაოცარი შრომისმოყვარეობა. 1959 წელს გამოიცა ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით შექმნილი საქართველოს არქეოლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. იგი ამ სახის პირველი სახელმძღვანელოა საერთოდ სსრ კავშირში.

დიდი წვლილი შეიტანა არქეოლოგიური ტერმინოლოგიის დადგენაშიც. მისი რედაქციითა და ავტორობით 1980 წელს გამოიცა „რუსულ-ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგია" (20 ათასზე მეტი ტერმინი).

დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობანი აწევს მხრებზე მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს: საერთო ხელმძღვანელობას უწევს აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენისა და ლიტერატურის განყოფილებებს, არის რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სათავეში უდგას მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოებას და არქეოლოგიურ კომისიას..

აუწონელი ლარით დაუნჯებულ ზარდახშად ჩანს მისი ნაღვაწი 75 წლის გადასახედიდან. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა ივერიის მატიანეში და ბევრი აღმოჩენა კიდევ წინ აქვს ქართული საისტორიო მეცნიერების ბერმუხას.

ალეკო ასლანიშვილი.

Kodak
Photo Kodak

„მხოლოდ ღილაკს დააჭირეთ თითი..."

— დანარჩენს ფირმა შეასრულებს. ასეთია საბჭოთა კავშირ-ვენესუელის ახალი ერთობლივი საწარმოს „სხივის" დევიზი. იგი იხსნება საქართველოს დედაქალაქის მშვიდობის პროსპექტზე.

„სხივში" ვალუტაზე მიჰყიდიან უცხოელ ტურისტებს კინო-ფოტო-ვიდეო საქონელს, საქართველოს ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრებს, ფერწერულ ნაწარმოებებს. წაგებულები არც ისინი დარჩებიან, ვისაც არა აქვს თავისუფლად კონვერტირებული ვალუტა: საბჭოთა ფულზე ფირმა გვთავაზობს „კოდაკის", „ფუჯის", „აგფას" ფირებიდან ფერადი ფოტოსურათების მაღალხარისხოვან გამჟღავნებასა და ბეჭდვას, დაგვეხმარება ფოტო-აუდიო-ვიდეო მომსახურებაში.

სურათებზე: საბჭოთა კავშირ-ვენესუელის ერთობლივი საწარმოს „სხივის" გენერალური დირექტორი ირაკლი ქველიძე (ცენტრში), კონსულტანტი ვერა შნაიდერი და ლაბორანტი კონსტანტინე კეტოშვილი ფირმის გახსნის წინ; ფირმის რეკლამა.

საქინფორმის ფოტო.

კონტაქტები

სამეგობროდ გადაშლილი გული

მკითხველებმა უკვე იციან, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მოწვევით თბილისში იმყოფება ისრაელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი ყოფილი თანამემამულე, ამჟამად ისრაელის მკვიდრი აბრამ საპირი (სეფიაშვილი); გუშინ სტუმრებს შეხვედრა გაუმართეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში. მათ მიესალმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ზ. გომართელი, ხოლო შემდეგ აბრამ საპირმა ილაპარაკა იმ პერსპექტივებზე, რომლებიც საქართველოს და ისრაელის თანამშრომლობას აქვს. აქედან წასული ქართველი ებრაელობა ყოველნაირად ცდილობს საუკუნეებიდან მომდინარე სიყვარულის წილ ისრაელიდანაც სიყვარული და გულითადობა არ დააკლოს ჩვენს მიწა-წყალს, ქართველებს. სტუმრებს მიესალმა პოეტი რ. ამაშუკელი.

„კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრა დელეგაციის წევრი, ისრაელის რადიოს მუსიკალური და ფოლკლორული გადაცემების გამგე **იოელ რეკემი:**

— როგორც იქნა, ვნახე თქვენი ქვეყანა და, გულახდილად უნდა გითხრათ, პირველი შთაბეჭდილებით აღფრთოვანებული ვარ...

ისრაელის რადიო ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, მისი გადაცემები 18 ენაზე წარმოებს, მათ შორის ქართულადაც. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ მთელი ისრაელის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს ქართული გადაცემებისადმი, აინტერესებთ საქართველოს ახალი ამბები.

რახან ისრაელის რადიო ცდილობს მრავალ ქვეყანასთან იქონიოს კავშირურთიერთობა, მე ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს რადიო-ტელევიზიასთანაც დაამყარებს საჭირო კონტაქტებს...

• • •

სურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

კვლავ სამარანჩი აირჩიეს

ხუან ანტონიო სამარანჩი კვლავ აირჩიეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად მომდევნო ოთხი წლით. ასე გადაწყვიტა ერთსულოვნად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 85 წევრმა ამ მსოფლიო ორგანიზაციის 95-ე სესიაზე, რომელიც მიმდინარეობს პუერტორიკოს დედაქალაქ სან-ხუანში.

სამარანჩის უფლებამოსილებას ვადა გასდის 1993 წელს, ანუ ამ საუკუნეში იგი გახდება თავისებური რეკორდსმენი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტებს შორის ამერიკელი ეივერი ბრენდეჯის შემდეგ, რომელიც ამ ორგანიზაციას 1952-1972 წლებში ხელმძღვანელობდა. სამარანჩმა ეს პოსტი დაიკავა 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ისევ ალექსანდრე ქართველიშვილზე

ვინ არიან ის ქართველები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი პირველნი ჩავიდნენ? ეს საკითხი ჯერჯერობით შესწავლილი არ არის... ვფიქრობთ, იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტების მოძებნა, გაცნობა და მათ შესახებ ცნობების გამოქვეყნება უინტერესო არ იქნება, ზოგიერთი მათგანი დღესაც ცოცხალია. საქართველოდან წასული ემიგრანტების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ცამციშვილი, ვ. ჭაბუკიანი, ა. ქეიშვილი, ე. გიორგაძე, ს. კორინთელი...

წლეულს, აპრილ-ივნისში ხელმეორედ ვიმოგზაურე ამერიკაში. იქაურმა ექიმმა და პოეტმა გივი კობახიძემ დამატებითი ცნობები მომაწოდა გამოჩენილ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილზე.

ნიუ-იორკში მდინარე ჰუძონის პატარა მყუდრო ყურეში, უკანასკნელ ნავსაყუდელში დგას მუზეუმად ქცეული 50-60-იანი წლების ლეგენდარული ამერიკული გიგანტი ავიამზიდი „ინტერფრაიდი". ავიამზიდის ასაფრენ მოედანზე განლაგებულია ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ნომარი თვითმფრინავები, ამფიბიები, ვერტმფრენები და საომარი საჭურველი. მათ შორის ვიხილეთ ალ. ქართველიშვილის გამურული, ტყვიებით დაცხრილული (რეაქტიული, ზებგერითი, ატომური მუხტის მატარებელი თვითმფრინავი რიპაბლიკ ფ-84 „თანდერსტრიკი".

ცნობილია, რომ ბევრი ხელმოკლე ქართველი კაცი (მეტწილად გურულები და რაჭველები) XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ტოვებდა სამშობლოს და სამუშაოს საძებნელად მიდიოდა რუსეთში, ჩინეთსა და ამერიკაში. მათი უმრავლესობა სამშობლოში ბრუნდებოდა. ეს ფაქტი კარგად შეამჩნიეს მკვლევარებმა და ქართულ ფოლკლორშიც აისახა. ლტოლვა სამშობლოსაკენ ყველა სხვა გრძნობაზე ძლიერი იყო. ვის არ გაუგონია, — იგონებს პოეტი გივი კობახიძე, რაჭული „სუფრულის" სიტყვები:

დამისხი დამალევინე,
ჭკუას მოვალ, გონებასო:
რაჭას წასვლა მირჩევნია
მილიონის ქონებასო!

რასაკვირველია, ასეთი ადამიანები სამშობლოს ადვილად და თავისი ნებით არ დათმობდნენ, უცხოეთში ცოტანი რჩებოდნენ. მათ შორის იყო ავიაკონსტრუქტორი ალ. ქართველიშვილიც, რომლის ნეკროლოგიც 1977 წლის 20 ივლისს გამოაქვეყნა ამერიკის დედაქალაქის უდიდესმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა". „...ალექსანდრე კართველი 77 წლისა, „ფეირჩილ რიპაბლიკ კომპანის" მთავარი ინჟინერი და სამხედრო თვითმფრინავების კონსტრუქტორი... („გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" კი ნეკროლოგი ამ ფრაზით დაიწყო: „ალექსანდერ კართველი, ემიგრანტი საქართველოდან, რომლის კონსტრუქტორულმა ნიჭმა ამერიკელ პილოტებს მისცა მძლავრი და მძვინვარე სამხედრო თვითმფრინავები". როგორც გ. კობახიძე გვამცნობს, ქართველიშვილის გარდაცვალების შესახებ ცნობა სხვა შტატების გაზეთებსაც გამოუქვეყნებიათ.

შეძლებულმა ოჯახმა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ალექსანდრე 1919 წელს პარიზში გაგზავნეს სასწავლებლად. გამოთხოვებისას ახლობლებმა თან გაატანეს მისივე ნათესავის გიორგი ქართველიშვილის ლექსები და 1888 წელს მისივე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი", რათა დედაენა და სამშობლო არ დავიწყებოდა. ეს წიგნები მუდამ თან დაჰქონდა, სიყვარულით უვლიდა. ნიუ-იორკში მცხოვრები პროფესორი გიორგი ნაკაშიძე იგონებს, რომ ალექსანდრეს ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი", სხვა ქართველ კლასიკოსთა ლექსები და პოემები. საოცარი მეხსიერება ჰქონდაო, დასძინა გ. ნაკაშიძემ.

ალ. ქართველიშვილის პირველ სამხედრო თვითმფრინავს პ-47 „თანდერბოლტს" (ქართულად „მეხდამცემს") პილოტებმა ზედმეტი სახელი „ჯაგი" შეარქვეს, რაც ბულბულის გალობას ნიშნავს. როგორც გადმომცეს, მანქანა ფრენისას სხვა თვითმფრინავებივით არ ღმუოდა თურმე.

რიპაბლიკის კომპანიას და თვით „მისტერ კართველს" ამერიკის თავდაცვის სამინისტროსაგან, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან „ფრიად დამაკმაყოფილებელი, უზადო სამხედრო თვითმფრინავების დაპროექტებისა და აგებისათვის" შვიდი უმაღლესი ორდენი მიუღიათ.

ახალი საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ალექსანდრე ქართველი და ზებგერითი, რეაქტიული, ატომური მუხტის მატარებელი თვითმფრინავი „თანდერსტრიკი" ფ-84 კორეასთან ომში (1950-1953) ისეთივე ზღაპრული წარმატებით გამოუყენებიათ, როგორც მისი წინამორბედი ლეგენდარული „თანდერბოლტი" მეორე მსოფლიო ომის დროს. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ავიაციის ისტორიაში „თანდერჩიფმა". ამ მანქანას ვიეტნამის წინააღმდეგ ომში იყენებდნენ.

დღეს უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ კორეის ომში საბჭოთა კავშირის ავიაცია ჩრდილო კორეას დახმარებას უწევდა. ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზეთი „კრასნაია ზვეზდა" (1989 წ. 25 ივნისი).

კორეის ომში საბჭოთა ინტერნაციონალისტების მონაწილეობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი ქვეყნის ფართო საზოგადოებისათვის და, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ თემაზე უცნობი ფაქტების გამოქვეყნება, გამომზეურება.

1950 წლის 27 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა დაადანაშაულა აგრესიაში სამხრეთ კორეის მიმართ და შეიარაღებული ძალები გადაისროლა 38-ე პარალელზე, სამხრეთ კორეაში. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები ძირითადად წარმოდგენილი იყო თანამედროვე ბომბდამშენით ბ-29 („მფრინავი ციხესიმაგრე") და ალექსანდრე ქართველიშვილის რეაქტიული გამანადგურებლით ფ-86 „თანდერჯენტით" („მეხთამეხი"). ამ ძალებს სარდლობდა გენერალი მაკარტური.

ჩრდილოეთ კორეას მეგობრობის ხელი გაუწოდეს ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა. ჩინეთი დაეხმარა ჯარით, სამხედრო საჭურვლით, საწვავით და მედიკამენტები და ა. შ.

„ომის მეორე ეტაპზე, — იგონებს ერთ-ერთი შენაერთის ყოფილი მეთაური, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი გ. ლობოვი, — კორეის ცაში ამერიკელებისათვის სიურპრიზად იქცა მიგ-15-ის გამოჩენა. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ დანიშნა ჯილდო 100000 დოლარი, იმ საბჭოთა მფრინავისათვის, რომელიც მოიტაცებდა მიგ-15 და 38-ე პარალელის სამხრეთით დასვამდა (მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს, ეს „ჯილდო" მოგვიანებით მიიღო საბჭოთა მფრინავმა კაპიტანმა ბელენკომ, რომელმაც გატაცებული „მიგი" იაპონიაში დასვა და ამერიკელებს გადასცა. — ავტ. შენიშვნა).

„მიგების" გამოჩენამდე კორეის ცაში აშშ-ს ავიაცია ბატონობდა, ახლა კი მდგომარეობა გაწონასწორდა, განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა 1951 წლის აპრილიდან. ამერიკელებს შესანიშნავი მფრინავები და სამხედრო მანქანები ჰყავდათ; მარტო ფ-86 ფ („მეხთამეხი") რად ღირდა? თუ ჩვენი მიგ-15 მას ჯობნიდა ვერტიკალურ ფრენაში, სამაგიეროდ ფ-86 ფ მას სისწრაფესა და ჰორიზონტალურ მანევრში ჯაბნიდა. ის ჩამოგდების შემთხვევაში არ იშლებოდა. შეეძლო „მუცელზე" დაჯდომა და მცირე რემონტის შემდეგ „სიცოცხლისუნარიანი" ხდებოდა. მფრინავი ყოველთვის ასწრებდა კატაპულტირებას.

როგორც აღვნიშნეთ, ომის დროს ქართველიშვილის თვითმფრინავები დაუპირისპირდა საბჭოთა „მიგებს" (კონსტრუქტორი — ან. მიქოიანის ძმა არტემი). ეს ფაქტი საბჭოთა მთავრობამ აღიარა.

„იმ წლებში, — იგონებს გ. კობახიძე, — ამერიკაში ხუმრობდნენ, „სომხებმა და ქართველებმა ხმელეთზე ბრძოლა დაამთავრეს, ახლა ჰაერში იბრძვიან ერთმანეთის გაბატონებისთვისო. ყველა ქართველ ემიგრანტს პირზე ეკერა ფრიდრიხ დიდის სიტყვები, რასაკვირველია გადაკეთებული („დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში კი მეფე ერეკლე"): „აღმოსავლეთში ალ. ტუპოლევია, დასავლეთში კი ალ. ქართველიშვილი".

1973 წლის ბოლოს ამერიკის ავიასაწარმოებმა და კომპანიებმა ერთმანეთი გამოიწვიეს შეჯიბრში, ვინ უფრო უკეთეს თვითმფრინავებს გამოუშვებდა. ქართველიშვილმა კომპანიის ხელმძღვანელებს სიტყვა მისცა, რომ გაიმარჯვებდნენ. და მართლაც, მან გამოუშვა გასაიდუმლოებული, ბირთვული იარაღის მატარებელი ზებგერითი თვითმფრინავი, რომლის სახელი და ნომერიც კი თავდაცვის სამინისტროს გარდა არავინ იცის. „იმ ავადსახსენებელ დღეს, — იგონებს გ. კობახიძე, — როგორც მოხუცმა ალექსანდრემ შემატყობინა ტელეფონით, ზედმეტი ემოციებით, კმაყოფილებითა და სიხარულით აღტაცებული დაიქანცა ბიუროში ჯდომით, ცუდად გახდა, დაეწყო გულის შეტევა. ალექსანდრე ქართველიშვილი მეორე დღეს გარდაიცვალა.

ალექსანდრე ყველასთვის საყვარელი და დიდად პატივსაცემი პიროვნება ყოფილა არა მარტო ამერიკელ მეცნიერ-ტექნოლოგთა და სამხედრო წრეებში, არამედ ქართველ, კავკასიელ თანამემამულეთა შორისაც. ყველა თაყვანს სცემდა მის ბრწყინვალე ნიჭსა და ადამიანურ თვისებებს. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მოუცლელი იყო, მაინც პოულობდა დროს ქართულ-კავკასიური საზოგადოებების მუშაობაში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა სათვისტომოს დაარსებაში, ფულითაც ეხმარებოდა. განსაკუთრებით უყვარდა საზოგადოება „ალავერდი". ალექსანდრე ყველამ დავიტირეთ. სამგლოვიარო განცხადებებით აჭრელებული იყო ემიგრანტთა გაზეთები".

ალექსანდრე ქართველიშვილის ხსოვნა დღემდე ცოცხლობს ამერიკის სამხედრო წრეებში, მფრინავებში, მეზღვაურებსა და ემიგრანტთა შორის.

მერი როდე-ჩიჯავაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათზე: ალექსანდრე ქართველიშვილი 1955 წელს.

რედაქტორის მოადგილე
მ. უბრეხლიძე.

ტელევიზია — კვირა, 3 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.05 — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — გარდაქმნის წახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი— სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ხალხური შემოქმედება. „სადა ხარ, ჩემო სალამურო!". 12.20 — საკვირაო გამოფენა. 12.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „წინამასწარა ბარტყის ამბავი". 13.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მღერის ზ. ანჯაფარიძე". 14.45 — „ვესტნიკი". 15.15 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი". 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.10 — VIII საერთაშორისო კონგრესი ფოტოსინთეზის საკითხებზე. 16.45 — საკვირაო გამოფენა. 16.50 — შეხვედრა ქუთაისში. 17.40 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი. 18.20 — კონცერტი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს. III გადაცემა. 20.55 — სრულიად საქართველო — ლენტეხი. 21.30 — დიალოგი საქართველოს ასრ პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. პ. ჩხეიძესთან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ეს სიმღერაა საქართველოსი". 22.50 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.25 — საესტრადო კონცერტი. საყვარელ ქუჩაზე.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 9.45 — სპორტლოტო. 10.00 — „დილაადრიან". საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — ალმანახი „მსოფლიოს გარშემო". 13.30 — მულტფილმები. 14.00 — კინოაფიშა. 15.00 — მუსიკალური კიოსკი. 15.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „ხმები". 15.40 — „ცისარტყელა". „ტრადიციული ეთიოპური მუსიკა". 16.15 — ბავშვობის დღესასწაულები. 17.55 — ტელეფოტოკონკურსი „მიყვარხარ, სიცოცხლევ!". 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 19.55 — ტუვის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „საიანის" კონცერტი. 20.40 — „მიხაილო ლომონოსოვი". მესამე ფილმის I სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!". 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. ხმოვან ფირზე ჩაწერილი ორი პორტრეტი: ი. იურევა და ვ. კოზინი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — მხატვრული ფილმი „შმაგთა სარბიელი". 10.35 — ტაჯიკეთის სსრ სახტელერადიო. „შეხვედრები პამირში" (დუშანბე). 11.45 — უკრავს ხალხურ საკრავთა ორკესტრი. 12.05; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.15 — თანამედროვე ხუთჭიდი. ვაჟები. 12.40 — მულტფილმები. 13.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „დიდი ნავთობი". 14.10 — დროებისა და საკუთარი თავის შესახებ. მ. ლუკონინი. 14.30 — დირიჟორი გალინა კრივოშაპკო. 15.00 — „თუ თქვენ გადასცდით...". 15.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „აკვანი". 16.45 — ფილმ-კონცერტი „გეორგ ოტსი — მუსიკის რაინდი". 17.45 — კინოჟურნალი „ეკრანზეა ციმბირი". 18.10; 22.55 და 23.55 — კინოსერპანტინი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — თავისუფალი ჭიდაობა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!". 23.40 — ეს მსოფლიოს აწუხებს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უი 0035 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14